# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 28 მარტი, 2013 წელი.

№57 (7184)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბევრის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.




## მსოფლიოს ცხრაგზის ჩემპიონი და გინესის განუმეორებელი რეკორდსმენი

3

## საქართველო რუსეთს პარლამენტებით მეგობრობას სთავაზობს

8

## ვაშინგტონმა სააკაშვილის უფლებამოსილებათა შეკვეცა მოიწონა

4

## ის, რაც სააკაშვილმა ვერ კი არა, არ გააკეთა

## ნომრის კარიკატურა




ნოდარ აფციაურის კარიკატურა.

## პრემიის ნაცვლად დანამატი

6

## დაზარალებულები ისევ კომპენსაციებზე ჩივიან

6



## ახლო აღმოსავლეთი – მუდმივი დაძაბულობის კერა

5



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

№57. ხუთშაბათი, 28 მარტი, 2013 წელი.

# ბიძინა ივანიშვილმა მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები ოფიციალურად წარადგინა



**პრემიერ-მინისტრმა და კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა შუალედურ არჩევნებზე მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები გუშინ ოფიციალურად წარადგინა.**

— თბილისში, ნაძალადევში მაჟორიტარობის კანდიდატი გახლავთ **თამარ კორძაია** — აქვს არასამთავრობო ორგანიზაციაში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება, კვალიფიციური და სამართლიანი ადამიანის რეპუტაცია, რაც მეტად მნიშვნელოვანია პარლამენტისთვის. თამარი არის ისეთივე პრინციპული და სამართლიანი, როგორც ამ ოლქში გამარჯვებული თეა წულუკიანი. ასე რომ, ღირსეული ცვლა მოვუძებნეთ მას.

ბაღდათში კენჭს იყრის **პაატა კიკნაველიძე** — მას წარჩინებით აქვს დამთავრებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, აქვს დიდი გამოცდილება როგორც ადვოკატს. ბაღდათელია და იქაური პრობლემები კარგად იცის. მინდა ვთქვა, რომ ბაღდათელებსაც ღირსეული შემცვლელი მოვუძებნეთ არჩილ კბილაშვილის შემდეგ. ვფიქრობ, ბატონი პაატაც საიმედო წევრი იქნება ჩვენი გუნდის. რაც შეეხება სამტრედიის ოლქს, ჩვენი კანდიდატი იქნება **გიორგი კახიანი** — ისიც იურისტია და იურისტებზე არ ვჩერდებით შემთხვევით. უსუფაშვილი ძალიან განიცდის, რომ პარლამენტში სჭირდება კვალიფიციური კადრები. კახიანი გახლავთ თსუ-ს ასოცირებული პროფესორი, აქვს უზენაეს და საკონსტიტუციო სასამართლოში მუშაობის გამოცდილება. ბოლო წლებში ეწევა სამეცნიერო საქმიანობას, იქამდე კი იყო სპორტსმენი — რაგბისტი. მოკლედ, სამტრედიელებსაც მაგრად გაუმართლათ, მაგარი ფეხბურთელი რაგბისტით ჩავანაცვლეთ“, — აღნიშნა ივანიშვილმა.

ამასთან, მისი განმარტებით, სამივე კანდიდატს კოალიცია საკმაო დროის განმავლობაში არჩევდა.

— ჩვენ გავაკეთეთ უფრო სწორი და დახვეწილი არჩევანი, ვინაიდან ისინი პროფესიონალი იურისტები არიან, — განმარტა ივანიშვილმა.

**ინტერპრესი**

## ფეისბუკი

# წერტილოვანი ფრაზები

● ოპოზიციაც და პოზიციაც იძახიან, საერთო სასამართლოების კანონი ვილნიუსის სამიტისთვის უნდა მივიღოთო. ეჰ, ხალხისთვის სასამართლოც არ ემეტებათ.

● „ბაჩო ახალაიას დღეს ე.წ. „მატროსოვის“ ციხეში გადაიყვანენ...“

ეუფ... შემოვდივარ წინადადებით, მატროსოვის სახელობის ციხეს დღეიდან ახალგამოჩეკილი ქართველი „გმირის“, თაფლწასმული ონისე გერგედავას სახელი ეწოდოს... ონისეც გეიხარებს და ბაჩოც გამართულად „დეისვენებს“.

● დაწყებულია მარათონი — დავეწიოთ და გავასწროთ მიხეილ სააკაშვილს. დაწინაურდნენ რესპები.

● კარგი იქნებოდა ამ მადლიან ფეისბუკს დაბლოკვის გარდა დატორვის ფუნქციაც, რომ ჰქონდეს.

● ნასესხებ თვეებში ორმაგად მომაბეზრებელია პრეზიდენტი, მაგრამ ძალა აღარ აქვს და ისე ველარ იკბინება.

● თუ გსურს, რომ ერი გაანადგურო, მას ეროვნული ცნობიერება — მისი ფუნდამენტი უნდა გამოაცალო!

● მოკლედ, თავში მიშა გიხლიათ და მუცელში ვილნიუსის სამიტი, უბრალო ხალხისთვის არავინ არ არის. ბევრი რამე არ მომწონს რაც ხდება, მაგრამ ძალიან მაღიზიანებს ხალხის ის კატეგორია, ვინც ძველსა და ახალ ხელისუფლებას შორის განსხვავებას ვერ (ან არ) ხედავს... დიდი განსხვავებაა, როდესაც თუ ვერ (ან არ) გამდიდრებენ, არც გყვლეფენ, თუ ვერ გიხანგრძლივებენ სიცოცხლეს არც გკლავენ და გიკლავენ, თუ ვერ (ან არ) გასაქმებენ არც პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებენ სამსახურიდან, თუ დანაპირებს ვერ (ან არ) ასრულებენ, არც მალავენ, თუ ვერ გაშენებენ არც განგრევენ, თუ ხელის გულზე ვერ (ან არ) გატარებენ, არც გამცირებენ, თუ დამნაშავეები გარეთ არიან, არც მალავენ, რომ სასამართლო მიკერძოებულია და გარკვეული წრის ინტერესებს ემსახურება, თუ ბიზნეს გარემოსთვის სასათბურე პირობებს არ გიქმნიან, არც გართმევენ.

ივანიშვილის მთავრობას მოეთხოვება, სასწრაფოდ შეცვალოს სოციალური პოლიტიკა და გაქანებული ბურჟუა-ლიბერალური პოლიტიკიდან სოციალურად ორიენტირებულ პოლიტიკაზე გადავიდეს. ამის მაგალითები არსებობს მსოფლიოში — დღესაც და გუშინაც.

**შეკრიბა**
**გია გაბრიჭიძე**

## ინფორმაცია

# „ნაციონალურმა მოძრაობამ“ მაჟორიტარობის კანდიდატები დაასახელა

**„ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ შუალედური არჩევნებისთვის სამ რაიონში წარსადგენი მაჟორიტარობის კანდიდატები Facebook-ის გვერდზე დაასახელა.**

**თბილისში, ნაძალადევის რაიონში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის„“ კანდიდატია ყოფილი სახელმწიფო მინისტრი დიასპორის საკითხებში მირზა (პაპუნა) დავითაია. სამტრედიაში მოსახლეობის მხარდაჭერის მოსაპოვებლად სამტრედიის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ემზარ შუბლაძე იბრძოლებს, ხოლო ბაღდათის რაიონში — ბაღდათის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ (ხვიჩა) წიძორიძე.**

**პარლამენტის შუალედური არჩევნები 27 აპრილს გაიმართება.**

# კეტრინ ეშტონი და შტეფან ფულე განცხადებას ავრცელებენ

**საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში უმაღლესი წარმომადგენელი კეტრინ ეშტონი და ევროკომისარი გაფართოებისა და ევროპის სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში შტეფან ფულე საქართველოში მიღებულ საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით ერთობლივ განცხადებას ავრცელებენ.**

**— ჩვენ მივესალმებით საქართველოს პარლამენტის მიერ ერთობლივად მიღებულ მნიშვნელოვან საკონსტიტუციო ცვლილებებს. ორივე პარტიის მიერ მიღწეული კონსესუსი, რომელიც ამყარებს ამ შეთანხმებას, მეტყველებს მხარეების ვალდებულებაზე ქართულ პოლიტიკაში სამართლიან მმართველობაზე. საკონსტიტუციო ცვლილებები, რომელიც ადასტურებს დემოკრატიული არჩევნებით მოსული პარლამენტის როლს ახალი მთავრობის დანიშვნის საკითხში, აერთიანებს საქართველოს და აყალიბებს ყველა პარტიის ურთიერთთანამშრომლობის მნიშვნელოვან პრეცედენტს. ევროკომისარი ფულე მოუწოდებს საქართველოს ყველა დაინტერესებულ მხარეს გააგრძელონ ერთობლივი მუშაობა ამ კონსტრუქციული სულისკვეთებით ქართველი ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე, — ნათქვამია განცხადებაში.**

**ინტერპრესი**

## რა ხდება სინამდვილეში?

# საკადრო წმენდა თვითმმართველობის ორგანოებში

**„სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ მიერ გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით, ადგილობრივ თვითმმართველობებში 2012 წლის პირველი ოქტომბრიდან მიმდინარე წლის 28 თებერვლამდე 1790 თანამშრომელი გათავისუფლდა. სამსახურიდან წასვლის მიზეზი, უმრავლეს შემთხვევაში, პირადი განცხადებაა. ყოფილი საჯარო მოხელეების დიდი ნაწილი ერიდება იმის აღიარებას, რომ სინამდვილეში სამსახურის დატოვება მათ ზემდგომმა პირებმა მოსთხოვეს, პირად საუბრებში კი ყველა ადასტურებს, რომ მათ გათავისუფლებას წინ გამგებლებთან თათბირი უძღოდა. „სამართლიანი არჩევნები“ ხელისუფლებას ამ ფაქტების შესწავლის რეკომენდაციას აძლევს.**

თვითმმართველობებში მიმდინარე ცვლილებებს ორგანიზაცია „სამართლიანი არჩევნები“ 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების პერიოდიდან აკვირდება და ამ დროისათვის ორი სპეციალური ანგარიშიც გამოსცა. როგორც ორგანიზაციის ხელმძღვანელი ნინო ლომჯარია აცხადებს, ადამიანების დათხოვნა სამსახურებიდან დღემდე გრძელდება. თებერვლის მონაცემებით, საქართველოს 69 მუნიციპალიტეტიდან საკადრო ცვლილებები 54 გამგეობასა და 25 საკრებულოში განხორციელდა. მასობრივად გათავისუფლდნენ ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულები. 34 მუნიციპალიტეტში სულ 418 რწმუნებული დაითხოვეს. ეს პროცესი 10 მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებსაც შეეხო — შეიცვალნენ საბავშვო ბაღების გაერთიანების უფროსები. ყველაზე მასობრივად კი საჯარო მოხელეები ახმეტაში გაათავისუფლეს — იქ ცვლილებებს 205 თანამშრომელი შეეწირა.

„სამართლიან არჩევნებში“ ასევე აცხადებენ, რომ კასპის ბაგა-ბაღებში „ქართული ოცნების“ წევრები ნახევარ განაკვეთზე დაინიშნენ, იქ დასაქმებულ თანამშრომლებს კი ხელფასი გაუნახევრდათ.

გათავისუფლებულ პირთა უმრავლესობამ „განცხადება საკუთარი სურვილით დაწერა“. სწორედ ეს ფაქტორი აფიქრებინებს ნინო ლომჯარიას და მის ორგანიზაციას, რომ თვითმმართველობებში არ მიდის ჯანსაღი პროცესი:

„ადამიანები სამსახურს ტოვებენ საკუთარი განცხადების საფუძველზე, მაგრამ ამას, როგორც წესი, უძღვის წინ ის, რომ მათ გამგებლები იბარებენ, იმართება თათბირი და ამ გადაწყვეტილებების მიღებისაკენ უბიძგებენ. ვაკვირდებით იმასაც, რომ ერთსა და იმავე დღეს, შესაძლოა, რამდენიმე ათეულმა ადამიანმა დაწეროს გადადგომის შესახებ განცხადება, რაც არაბუნებრივია და ჩნდება კითხვა, რამდენად ნებაყოფლობითია ეს გადაწყვეტილებები. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვფიქრობთ, რომ არ მიდის ჯანსაღი პროცესი ადგილებზე, არც პოლიტიკური გავლენებისგან არის თავისუფალი თვითმმართველობის ორგანოები და, რაც ყველაზე სავალალოა, გამოდის, რომ პასუხს სთხოვენ არა მხოლოდ გამგებლებს, არამედ რიგით თანამშრომლებსაც?.

გათავისუფლებული ადამიანებიდან მხოლოდ რამდენიმემ მიმართა სასამართლოს. როგორც წესი, გვეუბნება ნინო ლომჯარია, საჯაროდ ყველა უარყოფს იმ ფაქტს, რომ სამსახურის დატოვება ზემდგომმა პირებმა მოსთხოვეს. „სამართლიანი არჩევნების“ თავმჯდომარე მიიჩნევს, რომ ადამიანები სამსახურიდან მხოლოდ კანონით დადგენილი პროცედურების დაცვით უნდა გაათავისუფლონ - კონკრეტული გადაცდომისა თუ სხვა მიზეზის საფუძველზე. განცხადებაში სწორედ ეს უნდა ჩაიწეროს, რადგან გამორიცხული არ არის, რამდენიმე წელიწადში იმავე ადამიანებმა მოითხოვონ მათი პოლიტიკური ნიშნით დევნის აღიარება. ნინო ლომჯარია იმასაც ამბობს, რომ დროა, ხელისუფლებამ შესაბამისი რეაგირება მოახდინოს:

„უკვე არაერთი ფაქტი გამოიკვეთა, როცა ადამიანები კანონის პროცედურების დაცვის გარეშე არიან სამსახურიდან გათავისუფლებული ან, პირიქით, მიღებული სამსახურში. ჩვენ ამაზე უკვე თვეებია ვლაპარაკობთ და თუ აქამდე არ არის რამე სტრუქტურა შექმნილი ან მონიტორინგის ჯგუფი, ვინც ამ პროცესებს რაღაცნაირად შეაჩერებს, მაშინ დროა, ეს გაკეთდეს“.

ადგილობრივი დემოკრატიის ქსელის თავმჯდომარე დავით ლოსაბერიძე ამბობს, რომ იმას, რაც დღეს თვითმმართველობებში ხდება და რაც ხდებოდა ადრეც, საქართველოს საზოგადოება გარკვეულწილად მიეჩვია. ის შიშობს, რომ თუ მთლიანად სისტემა არ შეიცვალა, ადგილობრივ თვითმმართველობებში დასაქმებული ადამიანები ყოველი ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ სამსახურის გარეშე დარჩებიან. სისტემის რეფორმირებაზე ლაპარაკი კი ჯერ კიდევ 1990-იან წლებში დაიწყო და დღემდე აქტუალურ პრობლემად რჩება. დავით ლოსაბერიძის ინფორმაციით, დღეს ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში დაახლოებით 12 000 ადამიანია დასაქმებული. ეს რიცხვი ბოლო წლების განმავლობაში რამდენჯერმე შეიცვალა:

„ვარდების რევოლუციის შემდეგ ოპტიმიზაციას რამდენიმე ათასი თანამშრომელი შეეწირა. მაშინ 8000-დან 6000 თანამშრომლამდე შემცირდა, მერე ისევ გაიზარდა ეს რიცხვი გასული წლების განმავლობაში. ეს ცვლილებები იმის ბრალია, რომ რეალურად თვითმმართველობებს არ გააჩნიათ დამოუკიდებლობა და სისტემა მოიკოჭლებს. თუ მთლიანად არ მოხდა ამ სისტემის რეფორმირება, რასაც ჩვენ ამდენი წელია ვამბობთ, მაშინ არაფერი შეიცვლება და იგივე მოხდება ოთხი თუ რვა წლის შემდეგაც“.

12 000 მოხელით დაკომპლექტებული თვითმმართველობიდან 1790 ადამიანის დათხოვნა ტენდენციად ვერ ჩაითვლება, გვეუბნება პრემიერ-მინისტრის მრჩეველი ირაკლი მელაშვილი. მისი აზრით, ასევე ნაადრევია ლაპარაკი იმაზე, რომ თვითმმართველობებიდან ადამიანებს პოლიტიკური ნიშნით ათავისუფლებენ, რადგან ჯერჯერობით არავის გაუანალიზებია ეს 1790 ადამიანი კონკრეტულად რომელი თვითმმართველობიდან გაუშვეს. ისე არ აღმოჩნდეს, ამბობს ირაკლი მელაშვილი, რომ უფრო მეტი ადამიანი გათავისუფლდა იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც უმრავლესობას „ნაციონალური მოძრაობის“ მომხრეები წარმოადგენენ, მაგალითად, სამეგრელოში, კახეთის არაერთ ოლქში, ქართლში და ა.შ.:

„თუ პოლიტიკური ზეწოლაა, მხოლოდ ათ პროცენტზე რატომ აისახა ეს? თავისთავად 1700 ადამიანის გათავისუფლება, იმ რაოდენობიდან გამომდინარე, რამდენიც თვითმმართველობებში მუშაობს, ტენდენციის მაჩვენებელი ვერ იქნება, 10% ტენდენციად ვერ ჩაითვლება, მაგრამ, მეორე მხრივ, ამ 1700-შიც რამდენია ის თვითმმართველობები, რომლებშიც „ნაციონალური მოძრაობაა“ დღემდე, ეგ არავის გაუანალიზებია, რამდენადაც ვხვდები. სიტყვაზე, გიგი უგულავამ რომ გაათავისუფლოს ვინმე და თავისი ახლობელი დანიშნოს რაიმე თანამდებობაზე, ეგეც „ოცნებას“ ეწერება და რატომ?“

**ეკა ქევანიშვილი**
**რადიო „თავისუფლება“**





PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# მისი სიმაღლესობა...

## მსოფლიოს ცხრაგზის ჩემპიონი და გინესის განუმეორებელი რეკორდსმენი

ვინ და რაში, რომელ სახეობაში? მრავალ, მრავალ სახეობაში, სპორტულის გარდა! ტყუილებში, ლაყბობაში, დემაგოგიაში, ცილისწამებაში, მონოლოგებში, „კორექტულ“ სიტყვა-პასუხში, თვალთმაქცობაში (პიარის ხელოვნებაში), „გულაობა“-მოგზაურობებში, „ესთეტიკურ“ თოხლაობაში, გარყვნილობაში (ბილ კლინტონს „გადაუჯოკრა“), „გულადობაში“(რუსეთსაც კი „აუხტა“ და პირად დაცვაში მხოლოდ 3 500 კაცი ჰყავს!), მინისტრების ცემაში (ხელით, პანჩურით, მობილურით, საფერფლით), ერთი და იგივე დაუმთავრებელი ობიექტების მრავალჯერ გახსნაში, ბიზნესის დარეკეტებაში, კერძო საკუთრების წართმევა-„ჩუქებაში“, სახელმწიფო სიმდიდრეების და მიწა-წყლის გაჩუქება-განიავებაში, უცხოელების მიზანმიმართულად ჩამოთესლებაში, ხაზინაში ხელის ფათურში, მოსახლეობის ტოტალურ მოსმენა-თვალთვალში, პატიმართა რაოდენობის ზრდის ტემპებში (5 წელიწადში 5-ჯერ!), კონსტიტუციის ჭრაკერვაში, დიქტატორული უფლებების კონსტიტუციით დაკანონებაში, პრეზიდენტობის ვადის თვითნებურად გაგრძელებაში (10 თვით!) და კიდევ ბევრ სისაძაგლეში, ქართველი ერის თავისმომჭრელი (გადატანითი და პირდაპირი გაგებითაც — ნაწამებ-ჩახოცილი ხალხის გათვალისწინებით!), განდიდების მანიით შეპყრობილი (დავით აღმაშენებლობაზე მეოცნებე, მაგრამ „ოცნებაზე“ ალერგიის მქონე) ყავლგასული „ნაცი“ პრეზიდენტი, შადრევან და გარეკილ პირველებად წოდებული, **წარმოშობით ნამდვილად ქართველი, მაგრამ საქმით ასევე ნამდვილად არაქართველი, მისი სიმაღლესობა მიხეილ სააკაშვილი.**

ცხრა წლის მანძილზე ყოველ სახეობაში დამყარებული, შემდეგ გაუმჯობესებული თითოეული რეკორდის თითო მაგალითის მოყვანაც კი ერთი ადამიანის ძალებს აღემატება, ამას, მინიმუმ, ერთი კვლევითი ინსტიტუტი მაინც სჭირდება. მარტივი არითმეტიკული გაანგარიშებით, თუ 9 წელს გადავამრავლებთ 365 დღეზე და ზემოთ ჩამოთვლილ სახეობებზე, კოლოსალურ რიცხვს მივიღებთ. იმ შემთხვევაშიც კი, თუ დღეში მხოლოდ ერთ სახეობაში და მხოლოდ ერთი „რეკორდის“ დამყარებას ჩავუთვლით, რამდენიმე ათასი გამოგვივა, მიდი და გაართვი თავი მათ ცალცალკე განხილვას, თანაც, საგაზეთო წერილში. ამიტომ მხოლოდ ორიოდე გახმაურებული „მიღწევის“ მოყვანა გადავწყვიტე ნიმუშად — ერთი ცნობილია, ასევე — მეორეც, მაგრამ მათემატიკური სიზუსტით იგი არ დაფიქსირებულა, არადა, ამ მიღწევას, დარწმუნებული ვარ, ვერავინ ვერ მოხსნის, ვერც ამ საუკუნეში და ვერც ვერასოდეს!

ყველას გვახსოვს 18 სექტემბერი, „ნაცების“ სახელმწიფო მართვის „დემოკრატიული“ მეთოდების მამხილებელი ე.წ. ციხის კადრები და მომდევნო დღეებში — მთავარი „ნაცის“ განცხადებებიც, მათ შორის რეკორდულიც: „ხელისუფლებამ მყისიერად მიიღო **ადეკვატური გადაწყვეტილება — გაანთავისუფლა** ორი მინისტრი“. ამ ერთ წინადადებაში ერთბაშად ხუთი ტყუილია — ხელისუფლებას არც გადაწყვეტილება მიუღია და არც არავინ არ გაუნთავისუფლებია, მინისტრები თავისით გადადგნენ; და ესეც მყისიერად არ მომხდარა, ეს მინისტრები (სასჯელაღსრულების და შინაგან საქმეთა) სრულებითაც არ აპირებდნენ გადადგომას, იხტიბარსაც არ იტეხდნენ, ისინი მხილოდ რამდენიმე დღის შემდეგ, აღშფოთებული ხალხის ქუჩაში გამოსვლის შემდეგ გახდნენ იძულებული დაეტოვებინათ პოსტები; რაღა თქმა უნდა, არც ადეკვატური ზომები ყოფილა გატარებული. ადეკვატური იქნებოდა მთავრობის და პარლამენტის დათხოვნა, იმ პარლამენტის, რომელსაც ყველანაირი ინფორმაცია გააჩნდა ციხეებში არსებული გაუსაძლისი არაადამიანური პირობების თაობაზე (სახალხო დამცველისგან, ოპოზიციონერი დეპუტატებისგან, ჟურნალისტებისგან, ადვოკატებისგან, თავად პატიმრებისგან) და სათანადო ზომების მიღების ნაცვლად, ანალოგიური ინფორმაციის პარლამენტის სხდომაზე მოსმენის დროს ურცხვად იღრიჭებოდნენ! **ამიტომაც უწოდა ამ პარლამენტარებს დათო ტურაშვილმა სავსებით სამართლიანად — „დედამოხნულები“!**



როცა ამ თემაზე ლაპარაკობდა, 22 სექტემბერს ბათუმში, დაუმთავრებელი(!) ტექნიკური უნივერსიტეტის გახსნაზე, მისმა სიმაღლესობამ ისე დასწამა ცილი მთელ მსოფლიოს, მისი „პარტნიორი“ ამერიკა-ევროპის ჩათვლით, რომ თვალიც არ დაუხამხამებია: „ის, რაც ჩვენ ვიხილეთ (გულისხმობდა გლდანის მე-8 საპყრობილეში გადაღებულ წამების და გაუპატიურების კადრებს) ხდება **ყოველდღე ყველგან,** და ეს საჯაროდ არ გამოაქვთ. ჩვენ მოვახდინეთ ამაზე რეაქცია ისეთი, რომელსაც განვითარებული დემოკრატიული ქვეყნებიც არ მოახდენდნენ, შეიძლება ბელგიაში ამდენი მინისტრი (ანუ ორად ორი! — **ი.ლ.**) არ გადაეყენებინათ, და არც — ამერიკაში“! სააკაშვილი საქართველოში არ არჩევს სიტყვებს და რაც პირზე მოადგება, იმას როშავს, თორემ უცხოეთში ყოფნისას კარგად იცის, რომ მხოლოდ რუსეთი უნდა ლანძღოს. ბათუმში ნათქვამი ისე გადაასხვაფერა სამი დღის შემდეგ, 25 სექტემბერს გაეროში გამოსვლისას, რომ წარბიც არ შეუხრია: „ასეთი რამ რუსეთში ხდება ყოველდღეო“! აღარც ბელგია უხსენებია და არც — ამერიკა! და, როგორც ყოველთვის, ორმაგი სტანდარტების მქონე დასავლეთმაც ყველაფერი ისევე გაატარა ყურებში, როგორც რამდენიმე წლის წინათ ზანგების შეურაცხმყოფელი მისი სიტყვები.

რუსეთი კი მოთხარა, მაგრამ საინტერესო ისაა, რომ ამჯერადაც ტყუილი დააბრეხვა და რუსეთსაც ცილი დასწამა. რუსეთის უკლებლივ ყველა ციხეში ისეთივე სისტემური ხასიათი რომ ჰქონდეს წამება-გაუპატიურებას, როგორც ამას ჩვენთან ჰქონდა, ხომ წარმოგიდგენიათ, რა ამბავს ატეხდა ცალკე დასავლეთი და ცალკე რუსეთში არსებული ასობით ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაცია (დასავლეთის დაფინანსებული!) გივია თარგამაძის ძმაკაცის, ნავალნის თავკაცობით. თითო-ოროლა სადისტი ზედამხედველი, ალბათ, ძალიან ბევრ ციხეშია, მათ შორის, ამერიკა-ევროპაშიც, მაგრამ იმის მსგავსი, რასაც ჩვენს საპატიმროებში — **ყველაში(!), წლების მანძილზე(!), სისტემატურად(!),** სჩადიოდა არა ერთი ან ორი სადისტი, არამედ, ჯგუფურად სხვადასხვა რანგის თანამშრომელი და, თან, ვიდეოკამერით აფიქსირებდა ყველაფერს (ცხადია, უფროსების დავალებით, აბა, რიგითი მუშაკი ამას თვითნებურად რომ ვერ გაბედავდა, ეს ნათელია, მასაც ხომ იგივე დღეში ჩააგდებდნენ!), ჯერ არსად არ გაუბედავს არავის! საქართველოს ციხეების ანალოგიური სურათი მსოფლიოს არც ერთ სახელმწიფოში არ ყოფილა დადასტურებული, თუ არ ჩავთვლით აბუ-გრეიბის და გუანტანამოს ციხეებს, სადაც წამებასთან ერთად გაუსამართლებელი პატიმრები წლობით (10 წელიც კი!) ჰყავთ გამომწყვდეული. მაგრამ იქაც, ტერორიზმში(!) ეჭვმიტანილ უცხოელებს(!) აწამებენ, და არა — ყოფითი დანაშაულის ნიადაგზე დაპატიმრებულ ან სრულიად უდანაშაულო საკუთარ მოქალაქეებს, მხოლოდ სადისტური სიამოვნების მისაღებად ან ცრუ ჩვენების გამოძალვის მიზნით!

ცოტა თემას გადავუხვიე, მაგრამ ამ მაგალითებში ერთადაა თავმოყრილი მრავალჯერადი ტყუილი, ცილისწამება, დასავლეთის ორმაგი სტანდარტი და „სამართალიც“.

ახლა სააკაშვილის მიერ 26 თებერვალს პრეზიდენტის სასახლეში, ჟურნალისტებთან შეხვედრაზე დამყარებულ გინესის რეკორდებზე მოგახსენებთ. სააკაშვილის რეკორდებს ვინ მოთვლის საერთოდ, მაგრამ მსგავსი, მასაც კი არ უნდა ჰქონდეს დამყარებული იმ უბრალო მიზეზების გამო, რომ 26 თებერვლამდე იგი ჟურნალისტებს, პრაქტიკულად, არც შეხვედრია ამ ცხრა წლის მანძილზე. თორემ ისე რა პრობლემაა, თუ მოინდომა და კიდევ შეხვდა ჟურნალისტებს, ხვალვე მოხსნის თავისივე რეკორდს, ნერვებმა თუ არ უმტყუნა და პირველივე კითხვის შემდეგ არ მიატოვა ჟურნალისტები (26 თებერვალს, მეექვსე კითხვის შემდეგ მოუსვა!).

მაშ ასე, სანამ სააკაშვილთან მიწვეულ რვა ჟურნალისტს კითხვის დასმის საშუალება მიეცემოდა, თავად ყავლგასულმა პრეზიდენტმა ილაპარაკა 20 წუთი, რაშიც არაფერია გასაკვირი (ისე, გასაკვირი თვით ნათქვამში იყო ბევრი რამ, მაგრამ ამჯერად სიტყვის შინაარსს არ შევეხები). ყველას გასაოცრად, მან აღიარა თავისი ერთი, მხოლოდ ერთი(!) მრავალთაგან, შეცდომა — მედიას არ ვხვდებოდი და მონოლოგებით ვკმაყოფილდებოდი, მეგონა, ყველა ისედაც გამიგებდაო. ეს მისი აღიარებითი სიტყვები გულწრფელი რომ არ იყო, თავადვე დაადასტურა, როგორც კი ჟურნალისტების შეკითხვებზე დაიწყო პასუხების გაცემა ისევ მონოლოგის(!) რეჟიმში. პასუხები ჰქვია, თორემ იმ შინაარსობრივ აჯაფსანდალს ქართულად აბდაუბდას ვეძახით, როცა კაცი ყველაფერზე ლაპარაკობს და მთავარ სათქმელს კი გაურბის. სწორედ ასე იქაქანა მისმა სიმაღლესობამ 11 წუთი ჟურნალისტის პირველ კითხვაზე, 18(!) წუთი მეორეზე, 10 — მესამეზე და 7 — მეოთხეზე! და ამ შეხვედრას პრესკონფერენცია უწოდეს! ფაქტიურად კი იყო ერთი მსახიობის (გაუწონასწორებელი პოლიტიკოსის) თეატრი (კომიკური ჟანრის)!

„ნაცების“ ბელადმა ოთხჯერ პირის გაღებით ერთ საღამოს ოთხი ისეთი რეკორდი დაამყარა, რომლებსაც ვერც ერთი პრეზიდენტი ვერ მოხსნის: ერთ კითხვაზე პასუხის ხანგრძლივობით გინესის განუმეორებელი რეკორდი ამიერიდან 18 წუთია! პირველი პასუხით დამყარებული რეკორდი— 11 წუთი, ეგრევე, მთელი 7(!) წუთით გააუმჯობესა ეშხში შესულმა „რესპონდენტმა“ მეორე ცდაზე. მოკლედ, მან ისე გარეკა ამ ე.წ. პასუხებში, რომ შერქმეული სახელი 100 პროცენტით გაამართლა! მეორე რეკორდია ორ კითხვაზე პასუხის ხანგრძლივობა, ჯამში — 29 (!) წუთი; მესამე, სამ კითხვაზე პასუხი — 39 წუთი და მეოთხეც, ოთხ კითხვაზე — 46 წუთი! დარწმუნებული ვარ, ამ რეკორდებთან ახლოსაც ვერ მივა ვერც ერთი პრეზიდენტი და, თუ ვინმე მაინც შეეცდება მათ მხოლოდ გამეორებასაც კი, იმ პრეზიდენტს პასუხი-მონოლოგი არ ექნება დამთავრებული, ისე გააქანებენ მას პირდაპირ პრესკონფერენციიდან შესაბამის ჰოსპიტალში ფსიქიკური სფეროს შესამოწმებლად!

რაიმე ჭკვიანური რომ ელაპარაკა სააკაშვილს იმ შეხვედრაზე, ან საათს ვინ დახედავდა და კალამსაც როგორ მოვკიდებდი ხელს, მაგრამ კაცმა, პრეზიდენტად წოდებულმა ჯერ 20 წუთი შესავალ სიტყვაში, მერე კიდევ 46 წუთი ოთხ კითხვაზე პასუხებში სისულელეები და ტყუილები იბჟუტურო, ბოლოს კი დაკრა ფეხი და შენს სახლში (სასახლეში) მიწვეული, გაოცებისგან პირდაღებული სტუმრები (ჟურნალისტები) მიატოვო მხოლოდ იმიტომ, რომ მათ მიერ კორექტულად დასმულ კითხვაზე არავითარი პასუხი არ ჰქონდა, ეს არავითარ ნორმაში არ ჯდება, ეს უკვე კლინიკური შემთხვევაა, თანაც, უიშვიათესი, მთელი დიაგნოსტიკური „ბუკეტით“!

წერილში მოყვანილი, სააკაშვილის მხოლოდ რამდენიმე გამონათქვამ-„რეკორდითაც“ შეგვიძლია დავასკვნათ, თუ რა „ზებუნებრივი“ თვისებებითაა დახუნძლული ეს, ჩვენდა ჭირად დასავლეთში სელექციით გამოყვანილი, ჩვენთვის ყავლგასული და „ძალით მაცხოვრე“, ხოლო „ნაცებისთვის“ კი საამაყო და „ჭეშმარიტი“პრეზიდენტი, საკონსტიტუციო(!) დიქტატურის ერთადერთი დამამკვიდრებელი მსოფლიოში, მრავალი ტიტულით, ზედმეტსახელით, ეპითეტით და დიაგნოზით შემკული მისი სიმაღლესობა, წარმოშობით, ვიმეორებ, ნამდვილად ქართველი, მაგრამ საქმით ნამდვილად არაქართველი და, ამიტომაც, მიხეილ სააკასშვილი!

**იაკობ ლეჟავა,**
25 მარტი, 2013

---

ალიან-ჩალიანი

## მიხეილ სააკაშვილს სიცრუეში ადანაშაულებს

**რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით ნარმანია საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს ინფრასტრუქტურული პროექტების შეჩერების თაობაზე გაკეთებული განცხადებების გამო სიცრუეში ადანაშაულებს.**

**— იმ პირობებში, როცა რეგიონებში სხვადასხვა ტიპის სამუშაოები ინტენსიურად მიმდინარეობს, მიხეილ სააკაშვილი დადის და საუბრობს იმაზე, რომ ახალი ხელისუფლება ხალხზე არ ზრუნავს. მოვიყვან ორ მაგალითს — პირველი, მან თქვა, რომ ე.წ. ოქროსქვიშიანი პლაჟის პროექტი, რომელიც ბათუმში უნდა განხორციელებულიყო, შეჩერდა. გეტყვით, რომ მიხეილ სააკაშვილის ინიციატივით, ბათუმში ოქროსქვიშიანი სანაპიროს გაკეთება იყო დაგეგმილი, რომლის ჯამური ღირებულება 200 მილიონ ლარს შეადგენდა. ახალი ხელისუფლების პირობებში დავიწყეთ ამ პროექტის მოდიფიცირება და დაიზოგება 80 მილიონი ლარი, რომელიც სოციალურად უფრო მნიშვნელოვანი პრობლემების მოგვარებას უნდა მოხმარდეს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ოქროსქვიშიანი პლაჟის შენახვის ყოველწლიური ხარჯები 3 მილიონ ლარზე მეტი იქნებოდა. მეორე, რაზეც მიხეილ სააკაშვილმა ყურადღება გაამახვილა, სამცხე-ჯავახეთში ჩაკეტილი გზაა. მან თქვა, რომ საავტომობილო გზა გაწმენდილი არაა და მას მოუწია ახალქალაქში შემოვლითი გზით ჩასვლა. ესეც მორიგი სიცრუეა. საუბარია ტიკმატაჟის უღელტეხილზე, რომელიც მუდმივად, ყოველწლიურად ზამთრის განმავლობაში იკეტება.**



**2007 წლის მიღებული დასკვნით, საქართველოში არსებობს რამდენიმე გზა, რომელიც ზამთრის განმავლობაში იკეტება. აქედან გამომდინარე, ის, რომ მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებაში ყოფნის პირობებში გზები იწმინდებოდა, არის სიცრუე და ის ხალხის შეგნებულად შეცდომაში შეყვანას ემსახურება, — განაცხადა დავით ნარმანიამ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე.**

**აღნიშნულ კონტექსტში, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა ქვეყნის პირველ პირს მოუწოდა, ცრუ ინფორმაციების გავრცელებისგან თავი შეიკავოს.**

ინტერპრესი



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ჩვენი ბაზარი



# ის, რაც სააკაშვილმა ვერ კი არა, არ გააკეთა

**ჯერ კიდევ „ნაცების“ ზეობის პერიოდში ევროპისაგან ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობისთვის უპირველესი მოთხოვნა იყო სურსათის უვნებლობის გამკაცრება და ამასთან დაკავშირებით კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანა. სააკაშვილი და მისი გუნდი გულში მჯიღს იცემდნენ, — ჩვენ თავისუფალი ვაჭრობისთვის ყველა მოთხოვნას შევასრულებთო. მაგრამ შემდეგი — 2012 წელი არჩევნების წელი იყო და ამ ერთი შეხედვით არაპოპულარული ნაბიჯების გადადგმისაგან თავის არიდების ბრძანება მისცა პრეზიდენტმა იმჟამინდელ პრემიერ გილაურს.**

რისკი, რომ ქვეყანაში არაჯანსაღი პროდუქტი შემოდიოდა, ყოველთვის არსებობდა. ხდებოდა ამ ბიზნესის როგორც ხელშეწყობა, ისე ლობირება. არასამთავრობოებისათვის, ცხადია, ინფორმაცია ხელმიუწვდომელი იყო. მათ არ ჰქონდათ რეალური სურათი იმ რისკების შესახებ, რომლებიც არსებობდა სამომხმარებლო ბაზარზე — აცხადებს „საქართველოს სტრატეგიული კვლევის და განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი ლია თოდუა.

საქართველოში ფიტოსანიტარიული კონტროლი რომ მკაცრდებოდა, ამაზე პირველმა პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, იგივე გაიმეორა სოფლის მეურნეობის მინისტრმა. ევროკავშირის რეკომენდაციების გათვალისწინებით დამტკიცებული რისკების პროგრამით, მონიტორინგს ექვემდებარება მაღალი რისკის მქონე ცხოველური, მცენარეული პროდუქტებიც. კვლევები ხორციელდება სპეციალურ ლაბორატორიებში. ამის გამო დაავადებული პროდუქტი საბაჟოს გავლით საქართველოში ვერ მოხვდება. — აცხადებენ შემოსავლების სამსახურში.

სწორედ ამ მიზეზით ვერ შემოვიდა თურქეთიდან დაავადებული კარტოფილი. ის იმპორტიორ ქვეყანას უკან დაუბრუნდა. შსს-მ კასპის რაიონში ცხენის ხორცის დიდი პარტია აღმოაჩინა, რაც ოპერატიულად ეცნობა სურსათის უვნებლობის ეროვნულ სააგენტოს. ერთ-ერთი მოქალაქის ბინის დათვალიერების დროს, აღმოჩნდა, რომ ანტისანიტარიულ მდგომარეობაში ინახებოდა პროდუქტი. ხორცი, გარდა იმისა, რომ გახრწნილი იყო, ლაბორატორიული კვლევების შედეგად ისიც დადგინდა, ის დასნოვანებული იყო სალმონელოზით და კოლიფორმული ბაქტერიებით. ცხოველები დაკლული იყო სასაკლაოს გვერდის ავლით. გამოძიებამ ისიც კი დაადგინა, რომ ცხენები მოპარული იყო.

ეროვნულმა სააგენტომ არაგეგმიური შემოწმების შედეგად სერიოზული დარღვევები აღმოაჩინა სუპერმარკეტების ქსელ „ვეჯინში“. სააგენტოსვე ინფორმაციით, მაღაზიები დაკეტილია და მათ მუშაობის გაგრძელება მხოლოდ დარღვევების აღმოფხვრილს შედეგად შეეძლებათ.

2013 წლის ბიუჯეტით სურსათის უვნებლობისთვის „ნაცების“ 3 მლნ ასიგნება 15 მლნ-მდე გაიზარდა. უკვე შემუშავდა მიზნობრივი პროგრამები და იწყება მათი განხორციელება ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის მიმართულებით. დაგეგმილია მლნ-ზე მეტი შინაური პირუტყვის ვაქცინაცია. ნიადაგის ფიზიკური და ქიმიური თვისებების სწორად შეფასებისთვის საწყისი ანალიზების შესასრულებლად მთავრდება სპეციალური პროგრამის შემუშავება, რაც საშუალებას მისცემს მიწათმოსარგებლეებს სწორად განსაზღვრონ ნიადაგის აგროსაწარმოო თვისებები, რაციონალურად გამოიყენონ სასუქები და მაქსიმალური ეფექტიანობით შეარჩიონ სასოფლო-სამეურნეო კულტურები. ქართული ღვინის ცნობადობის ამაღლებისა და საექსპორტო ბაზარზე დამკვიდრების მიზნით, დარგის ასოციაციასთან ერთად ყალიბდება მარკეტინგული საბჭო, რომელიც განსაზღვრავს დარგის მარკეტინგულ გეგმას, რათა განხორციელებული ღონისძიებები თანამიმდევრული და მიზანმიმართული გახდეს. და რაც მთავარია, მიიღწეს მაქსიმალური შედეგი მინიმალური დანახარჯებით.

როგორც ეროვნულ სააგენტოში აცხადებენ, ყველაფერი კეთდება არა მხოლოდ ევროკავშირის მოთხოვნების შესაბამისობაში მოსაყვანად, არამედ საკუთარი მოსახლეობის საკეთილდღეოდაც. რათა საქართველოს მოქალაქე თუ ჩამოსული სტუმარი დაცული იყოს არაჯანსაღი პროდუქტისგან.

„საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის“ მომხმარებელთა უფლებების დაცვის პროგრამის ხელმძღვანელის ლია თოდუას განცხადებით, მათ მომხმარებლები ხშირად მიმართავენ ამა თუ იმ პროდუქტის ვარგისიანობის შესამოწმებლად. ზოგჯერ ვიღებთ სურათს, რომ პროდუქციის გარკვეული სახეობა არის კოლაბაქტერიებით დაბინძურებული. ბოლო პერიოდში ა/ო-ს თხოვნით მიმართეს რადიაციაზე შეემოწმებინათ ზეთი და თევზი. საბედნიეროდ პროდუქტი დაბინძურებული არ აღმოჩნდა. ამჯერად იგივე მოთხოვნაა შოკოლადზე, რაც უახლოეს მომავალში შესრულდება — აცხადებს თოდუა.

მისივე განმარტებით, იმისთვის, რომ მომხმარებელთა პრეტენზიებმა იკლოს, მან შეიძინოს უსაფრთხო პროდუქტი, აუცილებელია კანონმდებლობის გამკაცრება. პირველ რიგში კონტროლი უნდა გახდეს მოულოდნელი. წლის განმავლობაში უნდა შემოწმდეს საწარმოთა 10 პროცენტი და ბაზარზე გამოტანილი პროდუქციის 1 პროცენტი, — მიაჩნია პროექტის ხელმძღვანელს.

სურსათის უვნებლობას მოჰყვება კანონმდებლობის გამკაცრება, სანქციები. ბევრი, განსაკუთრებით წინა ხელისუფლების მიერ ხელდასხმულნი და ლობირებულნი უკმაყოფილონი იქნებიან. ექსპერტები 90 პროცენტით დარწმუნებულნი არიან იმაში, რომ მიმდინარე პროცესებს აუცილებლად გამოიყენებენ „ნაცმოელები“. დაიწყება ყიჟინა „ოცნება“ დაპირებულს — ეკონომიკისა და ბიზნესის ლობირების თაობაზე, არათუ ასრულებს, ახრჩობს საკუთარ ხალხსო.

იგივე ექსპერტთა განმარტებით წინა ხელისუფლებას ევროკავშირის ამ მოთხოვნების შესრულება თავის დროზე რომ დაეწყო, გასავლელი უკვე გავლილი იქნებოდა.

ჩვენ წერილს კი სოფლის მეურნეობის მინისტრის დავით კირვალიძის ციტატით დავასრულებთ: „80 პროცენტი ბაზარზე შემოსული პროდუქციისა იმპორტირებულია. პროდუქტი ჩვენივე ბაზრიდან იყო გამოდევნილი. დროა, შეიქმნას პირობები და ადგილობრივი პროდუქტის პოზიციები ბაზარზე დაწინაურდეს“.

**ზაზა ბილიხოძე**

ძველი ვალი...

# ექსპერტები საბჭოთა ანაბრების გასტუმრების მექანიზმზე მსჯელობენ

**„ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაცია“ (აფბა) ე.წ. საბჭოთა ანაბრების პრობლემის კვლევას აწარმოებს. ანაბრების საკითხის სიღრმისეულად შესასწავლად „აფბა“-ში „საბჭოთა ანაბრების კვლევის ცენტრი“ შეიქმნა, რომლის მიზანი საკითხის შესწავლა, მისი პოლიტიკური სარჩულისგან გათავისუფლება და ანაბრების პრობლემის გადასაჭრელად საფუძვლის მომზადებაა.**

გუშინ კვლევის ფარგლებში, ონლაინ-გამოცემა for.ge-ს პრეს-კლუბში „აფბა“ შეხვდა ეკონომიკის ექსპერტებს **მიხეილ ჯიბუტს, სოსო არჩვაძეს, სოლომონ პავლიაშვილს, ზურაბ გვასალიას, ვაჟა ბერიძეს, ირაკლი ლექვინაძეს, გიორგი აბაშიშვილს, ლია ელიავას და თამაზ აქუბარდიას.** „აფბა“-მ ექსპერტებს სამოქმედო გეგმა გააცნო და პროფესიონალებისაგან შენიშვნები, რჩევები და რეკომენდაციები მოისმინა, რომელთა გათვალისწინებაც, ახალგაზრდა ფინანსისტების აზრით, კვლევას უფრო საფუძვლიანს და სიღრმისეულს გახდის.

**„მოგეხსენებათ, „აფბა“ საბჭოთა ანაბრების კვლევას აწარმოებს, რომლის ფარგლებშიც ჩვენ შევხვდით როგორც დაზარალებულ მეანაბრეებს, ასევე ექსპერტთა გარკვეულ წრესაც. დღევანდელი შეხვედრაც ეთმობა იმას, რომ ამ ავტორიტეტულ სპეციალისტებს შევხდეთ და მათი შენიშვნები და მოსაზრებები მოვისმინოთ. ეს პრობლემა ძალიან დიდი ხანია არსებობს, მაგრამ მის მოსაგვარებლად ჯერ ნაბიჯები არ გადადგმულა. ჩვენს მიერ მოწვეულ ექსპერტებს შორის კი არიან ადამიანები, რომლებსაც ამგვარი პრობლემების მოგვარების გამოცდილება აქვთ“,** — აცხადებს „აფბა“-ს პრეზიდენტი ნოდარ ჭიჭინაძე.

**„აფბა“-ს წამოწყებას პოზიტიურად აფასებს ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში ირაკლი ლექვინაძე. მისი თქმით, იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებიც ამ პროცესის შედეგად დაზარალდა, ძალიან დიდია და ქვეყანაში ხელისუფლების შეცვლის შემდეგ მათ დიდ ნაწილს გარკვეული მოლოდინი გაუჩნდა.**



**„აფბა“-ს მიერ წამოწყებული კვლევა მიზნად ისახავს, რომ გარკვეული შედეგი დადგეს და ასე ვთქვათ, გარკვეული მისამართი იქნეს დასკვნაში ასახული, რათა ამ ადამიანებმა ნახონ, სად არის პრობლემა. მეორე მნიშვნელოვანი მომენტი კი არის ის, რომ ხელისუფლებამ უნდა დააფიქსიროს ამ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი პოზიცია. ბევრჯერ ითქვა (და ახალს არაფერს ვიტყვი), რომ დღეს და ხვალ ამ პრობლემის გადაჭრა შეუძლებელია, თუმცა, თუ ხელისუფლება იტყვის, რომ მზად არის ეს პასუხისმგებლობა იკისროს, მიუხედავად იმისა, ჰქონდა თუ არა ეს საკითხი წინასაარჩევნო დაპირებებში ასახული, ეს იქნება ის დადებითი შედეგი, რაც შეიძლება „აფბა“-ს აქტივობას მოჰყვეს. მნიშვნელოვანია, ადამიანებმა იცოდნენ, რომ ხვალ, ზეგ, ან თუნდაც 5-10 წლის შემდეგ მათ მიერ თავის დროზე ბანკში ჩადებული აქტივები გარკვეული ფორმით მაინც იქნება დაბრუნებული“,** — აღნიშნა ირაკლი ლექვინაძემ.

ექსპერტი სოსო არჩვაძე ამბობს, რომ სახელმწიფოს ამჟამად ამ ანაბრების გასტუმრების რესურსი არ გააჩნია, მაგრამ უნდა მოიძებნოს მექანიზმი, რომლითაც ანაბრები სწორად შეფასდება. ეს მექანიზმი კი მისაღები უნდა იყოს არა მხოლოდ ხელისუფლებისათვის, არამედ საზოგადოებისთვისაც.

ეკონომისტი მიხეილ ჯიბუტი დადებითად აფასებს „აფბა“-ს წამოწყებას „საბჭოთა ანაბრების“ კვლევასთან დაკავშირებით, თუმცა აქვე დასძენს, რომ ამ თემაზე ყველა საუბრობს ისე, როგორც ახსოვს ეს პროცესი. ამიტომ ჯიბუტი მიიჩნევს, რომ ამ საკითხს უფრო სიღრმისეული და პასუხისმგებლობით მიდგომა სჭირდება. ექსპერტი გამოვიდა ინიციატივით, რომ საქართველოში შიდა ვალის პრობლემებთან დაკავშირებით დიდი კონფერენცია მოეწყოს, რომელზეც შიდა ვალის სხვა სეგმენტებთან ერთად, საბჭოთა ანაბრების თემის განხილვაც მოხდება.

ეკონომისტი სოლომონ პავლიაშვილი კი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ გასათვალისწინებელია საქართველოს ბიუჯეტის შესაძლებლობები.

**„ვერავინ ვერ გასცემს ბიუჯეტიდან რაღაც სასწაულ ტრანსფერებს, რადგან ამან შეიძლება საშინელი ინფლაცია გამოიწვიოს. ამიტომ ეს უნდა იყოს გაწერილი, თანამიმდევრული პროცესი. ვფიქრობ, რომ თუნდაც ის 502 მლნ ლარი, რაც სახელმწიფომ შიდა ვალად აღიარა, თუნდაც ამის შესრულება პოზიტიური იქნება ქვეყნისთვის, რადგან იმ ადამიანების დიდი ნაწილი, რომლებმაც ეს ანაბრები გახსნა, უკვე ცოცხალი აღარ არის. ამიტომ მიმაჩნია, რომ ეს პროცესი უფრო ოპერატიულადაც უნდა წარიმართოს“,** — განაცხადა სოლომონ პავლიაშვილმა.

შეხვედრაზე ასევე ითქვა, რომ **საქართველომ სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნების გამოცდილება უნდა გაიზიაროს, რომლებმაც ეს ე.წ. „საბჭოთა ანაბრები“ უკვე გაისტუმრა. დაბოლოს, „აფბა“-ს ექსპერტებთან შეხვედრაზე გადაწყდა, რომ მაისში ახალგაზრდა ფინანსისტები გამართავენ კონფერენციას, რათა ამ პროცესში საზოგადოების, მათ შორის, ექსპერტების მეტი ჩართულობა იყოს უზრუნველყოფილი. ამასთანავე, „აფბა“-ში იმედს გამოთქვამენ, რომ ექსპერტებთან კონსულტაციების და მთლიანად საზოგადოების ჩართულობის შედეგად საბჭოთა ანაბრების გაუფასურების და მათი კომპენსაციის საკითხი პოლიტიკური სპეკულაციების სიბრტყიდან მოგვარების ეტაპზე გადავა.**

**ნინო ჟღენტი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# ახლო აღმოსავლეთი — მუდმივი დაძაბულობის კერა

**ახლო აღმოსავლეთის პრობლემები რომ მთელი მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია — მტკიცება არ სჭირდება. დღიდან ისრაელის, როგორც სახელმწიფოს შექმნისა, რეგიონი მდუღარე ზონად იქცა, რომლის გასანელებლად ან კიდევ უფრო ასადუღებლად დიდი თუ პატარა ქვეყნები ძალას არ იშურებენ.**

ისე, როგორც ყველა საქმეში, თავის სიტყვას ამბობს მსოფლიოს ჟანდარმად შერაცხილი ამერიკა. სიტყვა „ჟანდარმს“ დიდი ქვეყნის შეურაცხყოფისთვის არ ვხმარობ, ფაქტს ვაფიქსირებ, რომლის მიხედვით, უპირველესად მას და მხოლოდ მას შეუძლია ამ რეგიონში წესრიგის დამყარება. შეუძლია, მაგრამ ხშირად საწინააღმდეგოს აკეთებს, რაც თავისთავად იწვევს მუდმივ დაძაბულობას და გაუთავებელ სისხლიან დაპირისპირებას.

არავინ უწყის, რა შედეგს მოიტანს აშშ-ის პრეზიდენტის ვიზიტი ახლო აღმოსავლეთში, გაიზიარებენ თუ არა მის მოწოდებას ისრაელი და პალესტინა უპირობო მოლაპარაკების დაწყების თაობაზე, შეძლებს თუ არა ობამა პალესტინის ავტონომიის სანაცვლოდ, პალესტინის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შესაქმნელად ისრაელის დაყოლიებას. ექსპერთა აზრით, ვიზიტს დიდი არაფერი მოუტანია, გარდა ერთისა — ობამამ დაარწმუნა ისრაელის პრემიერ-მინისტრი ნეთანიაჰუ თურქეთისთვის ბოდიშის მოხდაში. ორივე ქვეყანა აშშ-ის პარტნიორია და მათი ერთად დგომა ამერიკისათვის აუცილებელია, სირიის კრიზისიდან გამომდინარე.

ახლო აღმოსავლეთი მუდამ იყო და არის პოლიტიკური, რელიგიური, კლანური დაპირისპირების ბუდე. ახლო აღმოსავლეთში იკვეთება აშშ-ს, რუსეთის, ირანის, თურქეთის, ისრაელის, სირიის, რეგიონის სხვა დიდი თუ პატარა სახელმწიფოების ინტერესები.

საქართველო ახლო აღმოსავლეთის მეზობელია და როგორც ამერიკელი მკვლევარი ჯატრასი აღნიშნავს, ერთ-ერთი მოქმედი პირიც. სხვას ვერაფერს იტყვი, როდესაც ხმამაღლა აცხადებენ, რომ ნაცური ხელისუფლება თავფეხიანად იყო გაბმული რეგიონის პოლიტიკურ-სამხედრო თამაშში (თუ ამას თამაში ჰქვია).

**სირიის ხელისუფლების წინააღმდეგ, საქართველოს ტერიტორიაზე „ბოევიკთა“ წვრთნა და სირიაში შეგზავნა იშვიათობა არ იყო. არც სირიის ხელისუფლების წინააღმდეგ აშშ-ის და დასავლეთის მიერ აგორებულ იატაკქვეშა თამაშში მონაწილეობა იყო უცხო. ასე წერენ იქ. და ეს ყველაფერი — საკუთარი ხალხის ზურგს უკან, ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგოდ. ფარულ თამაშს ყოველთვის არ მოაქვს მოგება, წაგებაც არის და ეს წაგება ნაცებს არ შეეხება — ქვეყანას შეეხება, მისდა უნებურად მაქინაციებში გახვეულს.**

**ამერიკელი ჯატრასის მიხედვით, საქართველოს ტერიტორიას სისტემატურად იყენებდნენ ექსტრემისტული, რეაქციული ისლამის ფარული შეკრების არენად, „ალ-ქაიდასა“ და სალაფიტური ორგანიზაციების წარმომადგენელთა შეკრებები ამერიკელთა ორგანიზებით თუ არა, წაყრუებით, მაინც ხდებოდა.**

საქართველოს სტრატეგიული პარტნიორი ამ შემთხვევაშიც, ქართული მხრიდან სრულ მორჩილებას ითხოვს. ასე იყო გუშინ, თუ რა იქნება ხვალ, უახლოესი მომავალი გვიჩვენებს. გუშინ კი სააკაშვილი ზედმიწევნით, გულმოდგინედ ასრულებდა ვაშინგტონის სურვილებს.

**სააკაშვილი სწორედ ისაა, ვისაც ეძებდა და როგორც იქნა მიაგნეს აშშ-ს სპეცსამსახურებმა. საბოლოო ჯამში ასეთს ან სწირავენ, ან ხანგრძლივად ინარჩუნებენ. სააკაშვილმა იატაკქვეშა მოძრაობების ბევრი რამ იცის. ხელს აძლევს ვაშინგტონს მათი გამომზეურება? ცხადია არა, ვინაიდან ეს იქნება მეხი, მოწმენდილ ცაზე.**

ამერიკელები შეეცდებიან სააკაშვილის შენარჩუნებას ისე, როგორც შეინარჩუნეს არანაკლებ ბინძურ კულუარულ თამაშებში გახვეული შევარდნაძე. ყოფილ პრეზიდენტთან შედარებით, დღევანდელი, ახალგაზრდა, ენერგიით სავსეა. მისი გამოყენება სრულიად შესაძლებელი იქნება შესაფერის მომენტში.

ძნელია იმის გამოცნობა, რას სთავაზობს ვაშინგტონი ახალ ხელისუფლებას, მაგრამ ის, რომ ძალას არ იშურებს, ტელეეკრანებიდანაც ჩანს. ამერიკის ელჩის ნორლანდის მოჭარბებული აქტიურობა, მისი სისტემატური შეხვედრები ივანიშვილთან, ივანიშვილის მიერ ელჩის მისამართით გამოთქმული საქებარი სიტყვები, დასტურია მჭიდრო თანამშრომლობისა.

**დიპლომატია მოჭარბებულად მგრძნობიარე საგანია, განსაკუთრებით მასპინძელი ქვეყნის ლიდერის მხრიდან ელჩისადმი საჯაროდ გამოთქმული ქათინაურების მიმართ. ასეთი, უმალ ანალიზდება წარმდგენ ქვეყანაში — ქების გამომწვევი მიზეზების დასადგენად. ელჩის საჯაროდ ქებას დიპლომატია არ იზიარებს, რათა თვით ელჩის წინააღმდეგ არ შეიქმნას საეჭვო მოსაზრება და რახან მსგავსი რამ არ ხდება აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტში — ელჩი კარგად ასრულებს საქმეს.**

**ტერორისტული ჯგუფების თბილისის შეხვედრებს, გარდა ანტირუსული დატვირთვისა, ანტიირანული, ანტიერაყული, ანტისირიული დატვირთვაც აქვს. და ამ ქვეყნებში შიდა არეულობის, დესტაბილიზაციისკენ არის მიმართული.**

მარტში შესრულდა ერაყში ამერიკელთა შეჭრის 10 წელი. 10 წლის წინათ ვერავინ იფიქრებდა, რომ ერაყი ასე ძვირი დაუჯდებოდა ამერიკას, გაცილებით ძვირი, ვიდრე ბუშის ადმინისტრაცია მიიჩნევდა. 10 წლის წინათ რა არ იღონა ბუშმა მსოფლიოს დასარწმუნებლად, რომ სადამ ჰუსეინის ერაყი, ბირთვული და ქიმიური იარაღით ემუქრებოდა მსოფლიო მშვიდობას. არადა, თვით აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მონაცემებით, ერაყს მსგავსი რამ არ ჰქონია.

აშშ-ს სწყუროდა ომი და როდესაც სურვილი გაქვს, მტკნარი ტყუილიც, სიმართლედ მოინათლება. ბუშის დამნაშავე ადმინისტრაციამ, აკვიატებული, ავადმყოფური მოსაზრების შედეგად, 5.000-მდე ამერიკელი და მილიონზე მეტი ერაყელი გაისტუმრა საიქიოს.

**ბუში, ჩადენილი დანაშაულისთვის კარგა ხანია ჰააგის საერთაშორისო სასამართლოს დამნაშავის სკამზე უნდა იჯდეს და არა ტეხასის შტატის უდარდელი ბინადარი იყოს, მაგრამ ის, რაც არ ეპატიება პატარას, ვთქვათ მილოშევიჩს, ეპატიება დიდს, ანუ ბუშს.**

ერაყის ომმა ტრილიონები შთანთქა. სწორედ ერაყის ომს მოჰყვა მსოფლიოს ეკონომიკურ-მონეტარული კრიზისი. ერაყის ომი დამთავრდა, მაგრამ ომი გრძელდება სახიფათო რელიგიურ ნიადაგზე, შიიტებისა და სუნიტების სისხლიანი დაპირისპირება რომ ჰქვია. დღე ისე არ ჩაივლის, მსხვილი ტერორისტული აქტი არ მოხდეს, შესაბამისი მსხვერპლით.

სადამ ჰუსეინის ანტიირანულად განწყობილი ერაყი, პროირანულადაა ქცეული, რაც შორსაა ამერიკული ინტერესებიდან. ირანისთვის ერაყი, მით უმეტეს ბაშარ ასადის სირია — მთავარი დასაყრდენია რეგიონში. ირანული ფაქტორი მნიშვნელოვანია, შესაძლოა უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ვაშინგტონს ჰგონია. ირანი რუსეთთან და ჩინეთთან ერთად ბაშარ ასადის ხელისუფლების საყრდენია.



ეს სამკუთხედი უპირისპირდება აშშ-ს, ევროკავშირის, ისრაელის, საუდის არაბეთის, თურქეთის ინტერესებს. ბრძოლის ველი — სირიაა. ჯერჯერობით იქ, დასავლეთი, დაქირავებულ ბოევიკებს აომებს, აწვდის მათ იარაღს, ტყვიაწამალს, სამხედრო ინფორმაციას. ალბათ, შორს არ არის ის დღეც, როდესაც ნატოს სამხედრო ძალა უშუალოდ ჩაერთვება კონფლიქტში ისე, როგორც ლიბიაში. შესაფერისი ვითარება მზადდება სირიაში შესაჭრელად. აქაც ისე, როგორც ერაყში, აშშ-ს, საბაბად, ქიმიური იარაღი მოჰყავს.

ბოლო დროს, დასავლურ მედიაში გახშირდა ქიმიური იარაღის თემაზე სჯა-ბაასი. ითქვა ისიც, რომ მეამბოხეთა წინააღმდეგ, ბაშარ ასადის ხელისუფლება ქიმიურ იარაღს იყენებს. მედიის განცხადებები ერთი მიზნისკენ არის მიმართული — საერთაშორისო საზოგადოების სირიის ხელისუფლების საწინააღმდეგოდ დასამუხტად. უნებლიედ იბადება კითხვა — რა შეიძლება მოჰყვეს სირიის ქიმიური იარაღის „ჰესბოლას“ მიერ ხელში ჩაგდებას? და რომ ეს არ მოხდეს, რა უნდა იღონოს დასავლეთმა? პასუხიც მარტივია — დაამხოს ბაშარ ასადის ხელისუფლება.

სრული შესაძლებელია დასავლეთმა გადადგას ასეთი ნაბიჯი, მით უმეტეს დღეს, ეკონომიკური კრიზისიდან ყურადღების გადასატანად.

ბაშარ ასადი, აშშ-ის ყელში გაჩხერილი ძვალია. მისი მოშორება, თავისთავად, ნიშნავს ახლო აღმოსავლეთში რუსულ-ირანული გავლენის შემცირებას, სირიიდან გამონთავისუფლებული ენერგიის ირანზე მიმართვას. „მოთვინიერებული“ სირიის შემდეგ, ჯერი ირანზე მიდგება.

**ამერიკელთა აზრით, რეგიონში თუ ვინმეა მოსადრეკი — ისლამური ირანია. ვაშინგტონის აზრით, წაქცეული ირანი ნიშნავს წაქცეულ „ჰესბოლას“ (ლიბანი) და „ჰამასს“ (პალესტინა). წაქცეული ირანი ნიშნავს ამ რეგიონში აშშ-ს მიმართ ლოიალური თურქეთის წამოწევას, საუდის არაბეთის როლის გაფართოებას, მაგრამ ასეთ ვითარებაში, როგორ შეთანხმდებიან ერთმანეთის მეტოქე თურქეთი და საუდის არაბეთი?**

სირიის დაცემით საფუძვლიანად შეიცვლება ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური კონფიგურაცია. სულაც არ არის გამორიცხული სირიის გაყოფაც — ალავიტურად და სუნიტურად. ასეთ შემთხვევაში, რა დარჩებათ აშშ-ს და რუსეთს? შეძლებენ ისინი საერთო ენის გამონახვას?

ბოლო წლების განმავლობაში ამერიკა-ევროკავშირის პოზიცია ირანთან მიმართებაში ურყევია — ირანის მიერ ბირთვული პროგრამის დახურვა. ირანი მზად არის შემხვედრი ნაბიჯების გადასადგმელად, ოღონდ საკუთარი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, მუხლმოუდრეკლად, რაც დაფიქსირდა კიდევაც ალმა-ატაში ჩატარებული მოლაპარაკებების დროს.

ამას წინათ ალმა-ატაში გაიმართა „ექვსეულის“ (გაეროს უშიშროების საბჭოს ხუთი მუდმივი წევრისა და გერმანიის) და ირანის მოლაპარაკება. ამ ფორმატის მოლაპარაკებები კარგა ხანია არ გამართულა. ორდღიანი მოლაპარაკებები ერთობ ნაყოფიერი გამოდგა, თუმცა, დასავლური მედია, ჩვეული სკეპტიციზმით აუწყებდა საზოგადოებას მოლაპარაკების უშედეგობაზე.

ირან-„ექვსეულის“ მოლაპარაკებები ყოველთვის გამოირჩეოდა დაძაბულობით, მაგრამ დასავლური მედიის ამჟამინდელი სკეპტიციზმი სხვა მიზნისკენაა მიმართული — ირანის მიმართ არსებული ნეგატიური განწყობის კიდევ უფრო გასამუქებლად. არადა, ალმა-ატის მოლაპარაკებამ არსებული დაძაბულობის განელების საფუძველი გააჩინა.

ალმა-ატაში მოხდა მოლაპარაკებათა პროცესის აღდგენა, რომელიც კარგა ხანია გაყინული იყო. „ექვსეულმა“ ირანს წარუდგინა განახლებული წინადადებები — ეკონომიკური სანქციების ეტაპობრივი მოხსნა, სანაცვლოდ, ირანის მხრიდან თანამშრომლობა. „ექვსეული“ მზად არის შეარბილოს სანქციები, არ მიიღოს ახალი, თუ ირანი შეწყვეტს ურანის 20%-იან გამდიდრებას, გარდა ამისა, გაყინავს ფორდოს მიწისქვეშა ბირთვული კომპლექსის კვლევებს.

ირანის დელეგაციამ პოზიტიურად მიიღო ახალი პაკეტი. მთავარმა მომლაპარაკებელმა საიდ ჯალილიმ აღნიშნა: „გამდიდრება ჩვენი უფლებაა, 20%-მდე თუ 5%-მდე სხვა საქმეა“. მან ისიც დაუმატა, რომ ყველა წინადადება უნდა ეფუძნებოდეს იმის აღიარებას, რომ ირანს აქვს ბირთვული კვლევის ჩატარების უფლება.

ჯალილიმ ისიც აღნიშნა, რომ ფორდოს დახურვას აზრი არ აქვს, ვინაიდან მთლიანად ექვემდებარება საერთაშორისო ბირთვული ენერგიის ორგანიზაციის (მაგატეს) კონტროლს. ჯალილიმ კვლავ გაიმეორა, რომ ირანი შეაჩერებს ურანის გამდიდრებას, თუ შესაბამის საწვავს მიიღებს უცხოეთიდან. „სამი წლის წინათ, ჩვენ გამოვთქვით სურვილი მიგვეღო ეს საწვავი, მაგრამ სამწუხაროდ პასუხი ვერ მივიღეთ, სწორედ ამიტომაც ჩვენ თვითონ დავიწყეთ ურანის 20%-მდე გამდიდრება“.

აპრილის პირველ დეკადაში ისევ იგეგმება ალმა-ატაში შეხვედრა, რაც მეტყველებს დიალოგის პერმანენტულობაზე და ირანის მხარის კონსტრუქციულ დამოკიდებულებაზე.

ირანის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრებებს გამოთქვამს თეირანის უნივერსიტეტის პროფესორი, საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი აბუ-მუჰამედ ასგარხანი:

**„დასავლეთმა იცის, რომ ირანის ხელმძღვანელობამ გამოსცა ფეტვა, რომლის მიხედვით, ბირთვული ბომბის შექმნა აიკრძალა. დიდი რაოდენობა გამდიდრებული ურანისა ფხვნილად იქცა, მაგრამ „მაგატეს“ ანგარიშში წერენ, რომ ჯერაც არ მტკიცდება აღნიშნულის ფაქტი. ეს პოზიცია ღიად სტოვებს კარს ირანის წინააღმდეგ მკაცრი ზომების გასატარებლად. დასავლეთი ხელმძღვანელობს პრინციპით — მტერს შეუტიე და თუ ის გაიქცა — გამოუდექი. თუ მტერმა გიპასუხა - შენ გაიქეცი. თუ ირანი უკან დაიხევს, დასავლეთი გააგრძელებს ზეწოლას“.**

„რაც შეეხება საზოგადოებას, ის მხარს უჭერს ხელისუფლების პოზიციას, ვინაიდან მიაჩნია, რომ ამ ეტაპზე ირანს არ ესაჭიროება ბირთვული ბომბი, მაგრამ საზოგადოებამ, რომელმაც გამოიარა ომი და დასავლური სანქციები, თვლის, რომ ომის თავიდან ასაცილებლად, საჭიროა ბირთვული ბომბი, რომელსაც ომის შემაჩერებელი ფაქტორი აქვს.

**აშშ იტანს ბირთვულიარაღიან ჩრდილო კორეას, ინდოეთს, პაკისტანს, ისრაელს, აიტანს ირანის ბირთვულ იარაღსაც. ბირთვული პროგრამა, ნაციონალური პროგრამაა. ის არ ეკუთვნის პრეზიდენტს, სულიერ ლიდერს. ის ხალხს ეკუთვნის და ვინც ამის წინააღმდეგია, ხალხის წინააღმდეგია. თუ ირანი შეწყვეტს ბირთვულ პროგრამას, ის გამოიწვევს მთავრობისადმი დიდ უნდობლობას. თუ ხალხი დარწმუნდება, რომ მთავრობა არ უზრუნველყოფს ხალხის უსაფრთხოებას, ის აღარ დაუჭერს მას მხარს!“ — აცხადებს პროფესორი.**

შემდეგ იგი აანალიზებს, თუ რა შემთხვევაში იჭრება აშშ სხვა ქვეყანაში: — 1) ადამიანის უფლებების დარღვევა; 2) სამოქალაქო ომი; 3) ტერორიზმი; 4) მასობრივი განადგურების იარაღის ქონა. ირანში არც ერთი ჩამოთვლილი საბაბი არ არის. არც იმის დამადასტურებელი ფაქტებია, რომ ირანი სპონსორობას უწევს ტერორიზმს.

გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ შემოღებულმა ეკონომიკურმა სანქციებმა გააუარესა ირანის სოციალური ვითარება. ერთიანი ეროვნული პროდუქტის წარმოება 3.5%-ით შემცირდა. შემცირდა ექსპორტიც (40%), გაიზარდა ინფლაცია და უმუშევრობა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საზოგადოების შემართება, განსაკუთრებით ბირთვულ კვლევებთან დაკავშირებით, უცვლელია.

**ახლო აღმოსავლეთის, მეტადრე სირიის და ირანის საკითხები გლობალური მნიშვნელობის საკითხებია. მათი პოზიტიურად გადაჭრა მთელ რიგ პრობლემებთან არის დაკავშირებული, მეტადრე დიდ სახელმწიფოთა ინტერესებთან. არც აშშ და არც რუსეთი იოლად არ დათმობენ მოპოვებულ პოზიციებს. არც სხვა სახელმწიფოებს აქვთ სურვილი დათმობისა, რაც თავისთავად მეტყველებს რეგიონში არსებული პრობლემების მუდმივობაზე და აქედან გამომდინარე, მარადიულ დაძაბულობაზე.**



**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
პოლიტოლოგი.



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„ჩვენთვის რა მნიშვნელობა აქვს?"..

# პრემიის ნაცვლად დანამატი

**მედიაში გავრცელდა ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ მინისტრების ხელფასები გაიზარდა. კერძოდ, გავრცელებული ინფორმაციით, მინისტრების ხელფასები აქამდე 3500 ლარს შეადგენდა, ახლა კი ის 7835 ლარამდე გაიზარდა.** ამასთან დაკავშირებით შესაბამისი ბრძანება პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა 15 მარტს გამოსცა.

**„საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონის 22-ე მუხლისა და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 მარტის №54 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს მთავრობის რეგლამენტის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს მინისტრებს (სახელმწიფო მინისტრებს) საფინანსო წლის განმავლობაში დაუწესდეთ დანამატი თითოეულს თვეში 4335 (ოთხი ათას სამას ოცდათხუთმეტი) ლარის ოდენობით",** — წერია ბრძანებაში.

მთავრობის კანცელარიის უფროსის მაია ცქიტიშვილის და მთავრობის პრესცენტრის მიერ გაკეთებული განმარტებით, მინისტრების ხელფასები 12%-ით შემცირდა და ხელზე მინისტრები ხელფასის სახით 6 300 ლარს მიიღებენ.

**„მინისტრების ყოველთვიური ხელფასი, 3500 ლარი უცვლელი რჩება, თუმცა, მათი ყოველთვიური შრომის ანაზღაურება, რომელსაც ხელზე აიღებენ, 6300 ლარამდე იზრდება დანამატების ხარჯზე. გამოირიცხება ყოველთვიური პრემირების პრაქტიკა და მინისტრებს პრემიას თავად პრემიერ-მინისტრი გამოუწერს წელიწადში ერთხელ საკუთარი შეხედულებისამებრ",** — განაცხადა მთავრობის კანცელარიის უფროსმა მაია ცქიტიშვილმა.

მთავრობის პრესსამსახურის ინფორმაციით, ხელფასების ამგვარი წესით დანიშვნის მოტივი ის არის, რომ მოისპოს პრემირების მანკიერი პრაქტიკა, როგორც წინა ხელისუფლების პირობებში იყო.

**იმის გასარკვევად, თუ რამდენია რეალურად მინისტრების ხელფასები, 6300 თუ 7835 ლარი, for.ge მთავრობის პრესსამსახურის წარმომადგენელს მანანა თოქმაჯიშვილს დაუკავშირდა.**

მისი განმარტებით, რეალურად მინისტრები ხელზე 6300 ლარს აიღებენ ხელფასის სახით, ეს თანხა რჩება მას შემდეგ, რაც 7835 ლარს საშემოსავლო გადასახადი გამოაკლდება. მანანა თოქმაჯიშვილის განცხადებით, მინისტრების სახელფასო პოლიტიკა მომავალში გადაიხედება და დაინიშნება მხოლოდ ხელფასი, ყოველგვარი დანამატის გარეშე. ახლა კი მათ ეს დანამატი 4335 ლარის ოდენობით იმიტომ დაენიშნათ, რომ ვიდრე შესაბამისი ნორმატიული აქტით ქვეყანაში სახელფასო პოლიტიკა შემუშავდება, მანამდე მინისტრებს პრემიები მოეხსნათ და გამოსავალი დანამატის დანიშვნის სახით მოიძებნა.

ალსანიშნავია, რომ საზოგადოების გარკვეულ ნაწილში ამ გადაწყვეტილებამ სერიოზული გაღიზიანება გამოიწვია. სოციალურ ქსელებშიც გაჩნდა მოქალაქეთა კომენტარები — **„ჩემთვის რა მნიშვნელობა აქვს, მინისტრს პრემია დაენიშნება, თუ ამას დანამატი დაერქმევა, ფაქტია, რომ ახალმა მინისტრებმაც გაიზარდეს ხელფასები"** და ა.შ. შეგახსენებთ, წინა ხელისუფლების წარმომადგენლები ათასობით და ზოგჯერ ათიათასობით ლარის ოდენობითაც ინიშნავდნენ პრემიებს და თავად მათი გადასაწყვეტი იყო, როდის რა ოდენობის პრემიას დაინიშნავდნენ. პრემიერ ივანიშვილის გადაწყვეტილებით კი, მინისტრებს საკუთარი თავისთვის პრემიების გამოწერა აეკრძალათ და ისინი წელიწადში ერთხელ, მხოლოდ პრემიერის გადაწყვეტილების საფუძველზე მიიღებენ პრემიას, თუმცა, როგორც მოგახსენეთ, ამან მაინც საზოგადოების გაღიზიანება გამოიწვია.




პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურის წარმომადგენლის მანანა თოქმაჯიშვილის განმარტებით, ხელისუფლებამ მიიჩნია, რომ მინისტრის ხელფასი არ უნდა ჩამორჩებოდეს რიგითი დაქირავებული თანამშრომლის ხელფასს, რომელიც კომერციულ სტრუქტურაში მუშაობს.

**„ამიტომ აღებულია კომერციული სტრუქტურების ხელფასების შესახებ მონაცემებიც, გარკვეული საშუალო გამოიყვანეს და ასე განისაზღვრა მინისტრების ხელფასები. დამეთანხმებით, არ შეიძლება მინისტრი 3000 ლარის ოდენობით იღებდეს ხელფასს",** — ამბობს პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურის წარმომადგენელი.

რაც შეეხება ინფორმაციას, რომ მინისტრების ხელფასები 12%-ით მცირდება, ამასთან დაკავშირებით მანანა თოქმაჯიშვილი აცხადებს, რომ დაანგარიშდა მინისტრების მთლიანი სახელფასო ფონდი და მათთვის ახლა დანიშნული ხელფასი წინა ხელისუფლების პირობებში არსებულთან შედარებით 12%-ით ნაკლებია.

რას ფიქრობენ ამ თემასთან დაკავშირებით ექსპერტები და რამდენად დამაკმაყოფილებელია მათთვის მთავრობის არგუმენტები მინისტრების ხელფასებთან დაკავშირებით?

ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში, **სანდრო თვალჭრელიძე** მიიჩნევს, რომ სავარაუდოდ, პრემიერ-მინისტრმა იცის, რასაც აკეთებს.

**„როგორც ჩანს, პრემიერ-მინისტრმა მინისტრებს ისეთი ხელფასები დაუნიშნა, რომ კორუფციაზე არ წაუცდეთ ხელი. ყველას გვახსოვს, წინა ხელისუფლების პირობებში მინისტრებს რამხელა პრემიები ჰქონდათ. ეს არ იყო ის თანხა, რასაც პრემიერ-მინისტრი ახლანდელ მინისტრებს აძლევს, არამედ ყოველთვიურად ხელფასის ორმაგი ოდენობის პრემიები ჰქონდათ ხოლმე. გახსოვთ, ალბათ, ნიკა გილაურმა 200 000 ლარზე მეტიც კი მიიღო პრემია. ასე რომ, მიმაჩნია, საქართველოში მინისტრს ღირსეული ხელფასი უნდა ჰქონდეს",** — აცხადებს სანდრო თვალჭრელიძე.

მისი თქმით, ურჩევნია კონკრეტულად იცოდეს, რამდენი აქვს მინისტრს შემოსავალი, ვიდრე მინისტრს 3500-ლარიანი ხელფასი ჰქონდეს და ამასთან ერთად პრემიის სახით მიიღოს „დახურული" თანხა, რომლის შესახებაც საზოგადოებისთვის არაფერია ცნობილი. ექსპერტი მიიჩნევს, რომ პრემიერის მიერ შემოთავაზებული მოდელით ყველაფერი გამჭვირვალეა.

ეკონომიკის ექსპერტი **ლევან კალანდაძე** კი მიიჩნევს, რომ მინისტრების ხელფასების 12%-იანი კლების შესახებ გაკეთებული განცხადება საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მცდელობაა.

**„ეს არის ხელისუფლების მხრიდან პრემირების სისტემის „გაპრავება", იმისთვის, რომ სალაპარაკო აღარ იყოს, რომ მინისტრები პრემიებს იღებენ. რეალურად კი ამით არაფერი იცვლება, რადგან 3500 ლარიდან ხელფასები 80%-ით გაიზარდა, 6300 ლარამდე. ალბათ, გემოვნების საკითხია, რადგან ჩემთვის, როგორც რიგითი მოქალაქისთვის დიდი მნიშვნელობა არ აქვს, მინისტრი აიღებს ხელფასს პლუს პრემიას, თუ აიღებს ხელფასს პლუს დანამატს, და ამას ერთობლივად დაარქმევს ხელფასს. ეკონომიკური შინაარსით ამით არაფერი იცვლება. ეს უბრალოდ საზოგადოების შეცდომაში შეყვანა და ფაქტის შეგნებული დამახინჯებაა",** — ამბობს ექსპერტი.

მისი თქმით, მინისტრის ხელფასი მაღალი უნდა იყოს და, შესაძლებელია, კერძო სექტორში მომუშავე დაქირავებულის ხელფასზე მეტიც. ლევან კალანდაძის თქმით, იგი არ განეკუთვნება იმ კატეგორიის ადამიანებს, ვისაც მიაჩნია, რომ მინისტრის ხელფასი საარსებო მინიმუმზე მეტი არ უნდა იყოს, მაგრამ ფიქრობს, რომ მინისტრის ხელფასი მაგალითად, პარლამენტის წევრის ხელფასს არ უნდა აღემატებოდეს.

**„ძალიან დიდი დისბალანსი საზოგადოების საშუალო ფენასა და მინისტრის ხელფასს შორის არ უნდა იყოს. ეს უბრალოდ ზნეობის საკითხია და პრემიერს, რა თქმა უნდა, აქვს უფლება, საკუთარ მინისტრებს იმხელა ხელფასი დაუნიშნოს, რამდენიც უნდა. აქ უბრალოდ ზნეობასა და მორალთან მოვდივართ წინააღმდეგობაში, თორემ სამართლებრივად პრემიერს და მთავრობას არაფერი დაურღვევიათ",** — აცხადებს ლევან კალანდაძე.

**რუსიკო უშიკიშვილი**

სტიქიის მსხვერპლნი

# დაზარალებულები ისევ კომპენსაციებზე ჩივიან

ლაგოდეხის რაიონის სოფელ კართუბანში სტიქიით დაზარალებულთა საპროტესტო აქცია გაიმართა. დაზარალებული მოსახლეობის ერთმა ნაწილმა ზარალის დამთვლელი კომისიის მიერ თანხების არათანაბარი გადანაწილება გააპროტესტა. დაზარალებულებს მიაჩნიათ, რომ ზარალი იმის მიხედვით გაიცა, თუ ვინ რომელი პოლიტიკური პარტიის მხარდამჭერია. არიან ისეთები, რომლებიც დაზარალებულთა სიებში საერთოდ ვერ მოხვდნენ.

ინციდენტით დასრულდა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ კართუბანში დაზარალებული მოსახლეობის მიერ გამართული საპროტესტო აქცია. აქციის მონაწილე უკმაყოფილო მოსახლეობა რწმუნებულის აპარატის შენობაში შეიჭრა და ზარალის დამთვლელი კომისიის წევრების მუშაობის გადახედვა და მათი მისამართით სანქციების განხორციელება მოითხოვა.

როგორც აქციის მონაწილეებმა განაცხადეს, სტიქიის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება პოლიტიკური ნიშნით განხორციელდა და წინა ხელისუფლების მხარდამჭერებს გაცილებით მეტი თანხა ერგოთ.

ადგილზე ვითარების გასაცნობად ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე გიორგი მჭედლიშვილი ჩავიდა. მჭედლიშვილმა აქციის მონაწილეთა მოთხოვნები ნაწილობრივ დააკმაყოფილა და იმის გამო, რომ კომისიის ყველა წევრი მოსახლეობასთან პირისპირ სასაუბროდ არ გამოცხადდა, საქმეში უკეთ გასარკვევად ისინი საკუთარ სამუშაო კაბინეტში დაიბარა.

კართუბანში სიტუაცია მას შემდეგ დაიძაბა, რაც მოსახლეობასთან სასაუბროდ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, სოფელ კართუბნის დეპუტატი დავით ლომიძე მივიდა. ის სტიქიის მიერ მიყენებული ზარალის დამთვლელი კომისიის წევრიც იყო. დაზარალებულებმა მას ლაპარაკის საშუალება არ მისცეს და, როგორც კომისიის რიგითი წევრი, პოლიტიკურ ზეწოლაში დაადანაშაულეს. დავით ლომიძე ფაქტს უარყოფს და ამბობს, რომ არ უსარგებლია „ნაციონალური მოძრაობის" სააგიტაციო მოთხოვნებით.

სტიქიით დაზარალებული მოსახლეობის მიერ გამართული აქცია ლაგოდეხში პოლიციის ჩარევის შემდეგ დაიშალა. სტიქიით დაზარალებულ მოსახლეობაზე კომპენსაციების გაცემა ჯერ არ დასრულებულა. ბანკ „ქართუს" თელავის ფილიალის მენეჯერის იმედა ჯაშის განცხადებით, კომპენსაცია 25 ათასზე მეტმა ოჯახმა უკვე მიიღო.

კახეთის სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისთვის ფონდმა „ქართუმ", ჯამში, 100 მილიონ ლარამდე გამოყო.

2012 წლის 19 ივლისის სტიქიის შედეგად, კახეთის რეგიონში ყველაზე მეტად თელავის, გურჯაანის და ლაგოდეხის მოსახლეობა დაზარალდა — ჯამში, 28 ათასამდე ოჯახი.

**გიორგი ალადაშვილი,**
რადიო „თავისუფლება"



ინფორმაცია




### შალაურში მოსახლეობამ საპროტესტო აქცია გამართა

**თელავის რაიონის სოფელ შალაურში სტიქიით დაზარალებულმა მოსახლეობამ კომპენსაციების გაცემის მოთხოვნით საპროტესტო აქცია გამართა.**

**მათი თქმით, სოფელი შალაური 2012 წლის 19 ივლისს სტიქიისგან 100 %-ით დაზარალდა, ამის მიუხედავად ადგილობრივებს კუთვნილი კომპენსაცია არ მიუღიათ.**

**შალაურელებმა გუშინ თელავი-ბაკურციხე-თბილისის მთავარი მაგისტრალის გადაკეტვა სცადეს, თუმცა, საპატრულო პოლიციამ აქციის მონაწილეებს ამის საშუალება არ მისცა.**

**სტიიქით დაზარალებული მოსახლეობა, კომპენსაციების გაუცემლობის შემთხვევაში, საპროტესტესტო აქციის გამართვას თბილისში, ბიძინა ივანიშვილის ბიზნესცენტრთან გეგმავს.**

**ინტერპრესი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

№57. ხუთშაბათი, 28 მარტი, 2013 წელი.

# ნ. ვინა თქვა, მთა მთას და რომპაპი რომპაპს არ შეხვდებაო?!

— **მაშინ** მე ნაპოლეონი ვარ! — არც დაფიქრებულა, ისე ჩასძახა ყურმილს ვატიკანის ტელეფონისტმა, როცა ყურმილის მეორე ბოლოდან მისთვის უცნობმა ხმამ თავი რომპაპად წარუდგინა და იეზუიტთა ორდენის ხელმძღვანელთან, ადოლფო ნიკოლასთან დაკავშირება სთხოვა.

წარმოიდგინეთ ტელეფონისტის მდგომარეობა, როცა გაირკვა, რომ მას მართლა რომპაპი ფრანსისკო ურეკავდა! ჩვეულებრივ, რომპაპები ასე პირდაპირ არ რეკავენ, მაგრამ ფრანსისკომ გარომპაპების პირველივე დღეებიდან ყველას თავისი არაფორმალური ქცევით დაამახსოვრა თავი. ხაზგასმული თავმდაბლობით მან მართლაც მრავალი ადამიანი მოხიბლა, რასაც ვერ ვიტყვით ანდრეასზე, ვატიკანის ტელეფონისტზე.

— იგი მართლაც მეტად თავმდაბალი იერარქი და დიდი ინტელექტუალია, — ამბობს უკრაინის ბერძნულ-კათოლიკური ეკლესიის პატრიარქი სვიატოსლავი (შევჩუკი), რომელიც კარდინალ ბერგოლიოსთან მსახურობდა, როგორც ორდინარი, — ბერგოლიო მამა სტეპან ჩმილის აღზრდილია და დიდხანს ეხმარებოდა მას მღვდელმსახურებაში. მან კარგად იცის ჩვენი წესი და ჩვენი ლიტურგიაც ახსოვს.

უკრაინელი მოძღვარი სტეპან ჩმილი არგენტინაში მოღვაწეობდა. იგი 1980 წელს გარდაიცვალა და რომში, წმინდა სოფიოს ბაზილიკაშია დაკრძალული.

ასე რომ, არგენტინელებთან ერთად უკრაინელებმაც დიდად გაიხარეს კარდინალ ბერგოლიოს არჩევით.

მაგრამ ყველაზე მეტად გახარებული მაინც 92 წლის ავსტრიელი ქალბატონი ელეონორ შონბორნნია — ვენის არქიეპისკოპოსის, კარდინალ ქრისტოფ შორბორნის დედა.

— მთელი ოჯახი ვევედრებით ღმერთს, რომ ჩემი შვილი არ აირჩიონ, — განუცხადა მან „კლაინე ცაიტუნგის“ ჟურნალისტს კონკლავამდე ორი დღით ადრე, — მისთვის ვენის ინტრიგებიც საკმარისია, ვატიკანისაც რომ არ დაიტეხოს თავს. თანაც მისი უნახაობა ბოლოს მომიღებს, მე მასთან რომში ჩასვლას ველარ შევძლებ, მას კი ჩემთან ჩამოსვლის დრო არ ექნება!

კარდინალი შონბორნი პაპაბილი იყო და ვეტიკანოლოგთა პროგნოზებით, სხვაზე არანაკლები შანსი ჰქონდა, ყოველ შემთხვევაში უფრო მეტი, ვიდრე ბერგოლიოს. თუმცა სავარაუდო კანდიდატთა შორის ბერგოლიოც მოიხსენიებოდა, მაგრამ სამხრეთამერიკელთაგან ექსპერტები მაინც სხვებს აძლევდნენ უპირატესობას, თუნდაც მეორე არგენტინელს — ლეონარდო სანდრის. გარდა იმისა, რომ იგი შვიდი წლით უმცროსია ბერგოლიოზე, რომის კურიაში მსახურობს და კარგად არის ჩახედული ვატიკანის ბიუროკრატიაში. მაგრამ კარდინალებმა, როგორც გამოჩნდა, უარი თქვეს, ერთი მხრივ, ბიუროკრატებზე, ხოლო, მეორე მხრივ, თეოლოგებზე და არჩევანი მრავალწლიანი გამოცდილების მქონე მოძღვარზე შეაჩერეს, რომელსაც ყოველდღიური ურთიერთობა აქვს მრევლთან.

ხორხე მარიო ბერგოლიო ბუენოს-აირესში, შვიდშვილიან ოჯახში დაიბადა 1936 წლის 17 დეკემბერს. მამამისი არგენტინაში გადმოსახლებული იტალიელი იმიგრანტი იყო და რკინიგზაში მუშაობდა. ბავშვობაში მომავალი რომპაპი ფეხბურთით იყო გატაცებული, მაგრამ ჯანმრთელობამ უმტყუნა. გართულებული ფილტვების ანთების შემდეგ ცალი ფილტვი თითქმის მთლიანად ამოაჭრეს. ხორხე მარიომ თავდაპირველად ქიმიის ტექნოლოგია შეისწავლა მშობლიურ ბუენოს-აირესში, მერე კი ჩილეში ჰუმანიტარული განათლება მიიღო. სამშობლოში დაბრუნებულმა ფილოსოფია შეისწავლა სან-ხოსეს სემინარიაში სან-მიგელში. სწავლობდა ვილადევოტოს სემინარიაშიც. სტუდენტობისას ბარში კარისკაცად მუშაობდა, რათა სწავლის საფასური გადაეხადა. 1964-1965 წლებში ფსიქოლოგიას და ფილოლოგიას ასწავლიდა ჯერ იმაკოლატას კოლეჯში სანტა-ფეში და მერე ელ-სალვადორის უნივერსიტეტში ბუენოს-აირესში. მომავალი რომპაპი 32 წლისა ეკურთხა მღვდლად. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც შეყვარებულმა ცოლობაზე უარი უთხრა.

კონკლავის მეორე დღეს ჩემმა არგენტინელმა კოლეგებმა მოძებნეს მისი შეყვარებული, მისივე კბილა სინიორა ამალია დამონტე. მერე მისი მცირე, იუმორნარევი კომენტარიც ჩაიწერეს:

— მახსოვს, როგორ არ მახსოვს. 12 წლისანი ვიყავით, როცა „დამემუქრა“, ცოლად თუ არ წამომყვები, ბერად აღვიკვეცებიო. ფლორესის წმინდა გიორგის ეკლესიაში მსახურობდა. ცოტა ხანსაც რომ დარჩენილიყო, ჩემი ჯვრისწერის რიტუალსაც ის აღასრულებდა. მადლობა გადამიხადოს კათოლიკურმა სამყარომ, უარი რომ ვუთხარი, თორემ როდის და როგორ დამთავრდებოდა ეს კონკლავი, არავინ იცის!

ახალი რომპაპის ერთადერთი შერჩენილი დედმამიშვილი, მასზე 12 წლით უმცროსი მარია ელენა ბერგოლიო ამბობს, რომ მისი ძმა არ მიელტვოდა რომპაპობას და ახლა ალბათ ძალიან განიცდის, რომ სამუდამო და უსასრულო მარტოობისთვის გასწირა უფალმა.

— ვიცოდი რა, რომ არ ფიქრობდა რომპაპობაზე, რომში წასვლის წინ ხუმრობით წარმატება ვუსურვე, — ამბობს რომპაპის და, — მან კი ხელები სერიოზულად გაასავსავა: „ო, არა, გეთაყვა, არა!“

ფრანსისკოს დღემდე უყვარს ფეხბურთი და სან-ლორენცის საფეხბურთო კლუბის თავგადაკლული გულშემატკივარია. ფეხბურთის გარდა, ახალგაზრდობაში იგი ცეკვითაც ყოფილა გატაცებული და სწორედ ცეკვის წრეში გაუცნია ამალია დამონტე, რომლის უარმა განსაზღვრა მისი მომავალი.

— მე მიყვარს ტანგო და ახალგაზრდობაში ვცეკვავდი კიდეც, — უთქვამს მან ფრანჩესკა ამბროჯეტისა და სერხიო რუბინისთვის, რომელთაც 2010 წელს მისი ბიოგრაფია გამოსცეს ცალკე წიგნად სათაურით „იეზუიტი“.

ხორხე მარიო ბერგოლიო 33 წლისა გახდა იეზუიტების ორდენის წევრი. ამის მერე იყო, რომ დაამთავრა სან-მიგელის უნივერსიტეტის თეოლოგიური ფაკულტეტის მაგისტრატურა, 11 წლის შემდეგ კი ამავე ფაკულტეტის რექტორი გახდა. 1986 წელს გერმანიაში დაიცვა სადოქტორო დისეტრაცია. ამ დროს ის უკვე სახელმოხვეჭილი პასტორი იყო. პადრე ხორხეს სახელი მთელმა არგენტინამ იცოდა. 1992 წელს იოანე-პავლე II-მ ეპისკოპოსად გამოარჩია, 1997-ში კი ბუენოს-აირესის არქიეპისკოპოსად დაადგინა. 2001 წლიდან კარდინალია. ასაკით ერთ-ერთი ყველაზე უფროსი იყო წლევანდელ პაპაბილთა შორის. პაპაბილი იყო 2005 წელსაც.

— ღვინის არ იყოს, ასაკთან ერთად ჩვენც უკეთესები ვხდებით, — უხუმრია ფრანსისკოს არჩევის მეორე დღეს, კონკლავის დახურვის აღსანიშნავ ვახშამზე.

ახალი რომპაპის პირველი ნაბიჯები თვითმფრინავის ბილეთების უკან დაბრუნება და წინამორბედთან ტელეფონით საუბარი იყო. მან ბენედიქტე VXI-ს თავისი პატივისცემა დაუდასტურა, დალოცვა სთხოვა და მილოცვაც მიიღო.

ბენედიქტე VXI-ის გადადგომას მისი მემკვიდრე ვაჟკაცურ და თავმდაბლურ აქტად აფასებს.

ფრანსისკო გარომპაპების მეორე დღესვე აპირებდა წინამორბედის მონახულებას, მაგრამ მერე ეს ამბავი გაურკვეველი დროით გადაიდო. არავის უთქვამს, რატომ.

14 მარტს, დილის 8 საათსა და 5 წუთზე ახალმა პონტიფიკმა ამ რანგში პირველად დატოვა ვატიკანი. იგი ჟანდარმერიის მორიგე მანქანაში ჩაჯდა, რომპაპის კარის პრეფექტის, არქიეპისკოპოს გეორგ განსვაინისა და ვიცე-პრეფექტის, მონსენიორ ლეონარდო საპიენსას გარდა, ერთი, ერთადერთი გვარდიელი იახლა და სანტა-მარია-მაჯორეს ბაზილიკისკენ გასწია. რომპაპი ბაზილიკაში ერთ-ერთი გვერდითი შესასვლელიდან შევიდა. ხოლო ბაზილიკის მღვდელმთავარი, კარდინალი სანტოს აბრილ ი კასტელო და რომის დიოცეზის გენერალური ვიკარიუსი აგოსტინო ვალინი მას სადარბაზო შესასვლელთან ელოდნენ.

რომპაპმა მთავარ საკურთხეველთან ყვავილების თაიგული დადო და 10 წუთის განმავლობაში უსიტყვოდ ლოცულობდა.

უკანა გზაზე რომპაპმა მანქანა პიაცა ნავონასთან ახლოს მდებარე სასტუმრო „პავლე VI“-სთან გააჩერებინა, სადაც იგი რომში ჩამოსვლისას დაბინავდა და საიდანაც საკონკლავოდ გაემართა. რომპაპი მხურვალედ მიესალმა მის დასახვედრად გამოფენილ სასტუმროს თანამშრომლებს, თავისი ნივთები წამოკრიფა და, სასტუმროს ადმინისტრაციის წინააღმდეგობის მიუხედავად, ბოლო ცენტამდე გაასწორა ანგარიში.

იმავე დღეს ფრანსისკო კვლავ ეწვია სიქსტის კაპელას. კაპელისკენ მიმავალი, იგი პერსონალური ლიმუზინის ნაცვლად მინიბუსში ჩაჯდა კარდინალებთან ერთად.

ახალმა რომპაპმა სიქსტის კაპელაში თავისი პირველი მესა იმ საკურთხეველთან აღავლინა, სადაც 1538 წელს, მღვდლად კურთხევის შემდეგ ლოცულობდა იეზუიტთა ორდენის დამაარსებელი, წმინდა იგნასიო ლაიოლა, ანუ ლაიოლაკუა, როგორც ჟღერს მისი გვარი მის მშობლიურ ბასკურ ენაზე.

— ეს ადგილი განსაკუთრებით ძვირფასია თითოეული იეზუიტისათვის, — თქვა წმინდა ტახტის პრესსამსახურის დირექტორმა ფედერიკო ლომბარდიმ, თავადაც იეზუიტმა, რომელმაც წინა დღეს განაცხადა, რომ მისთვის მოულოდნელი, მეტიც — შოკისმომგვრელი იყო კონკლავის გადაწყვეტილება.

მისი სიტყვებით, იეზუიტებს თავისი როლი უფრო ეკლესიის მსახურებაში წარმოუდგენიათ, ვიდრე ეკლესიის გაძღოლაში.

კონკლავის დახურვასთან დაკავშირებული წმინდა ლიტურგია ლათინურ ენაზე აღესრულა. ქადაგებით კი რომპაპმა იტალიურად იქადაგა. მშობლიური ესპანურისა და იტალიურის გარდა, ფრანსისკო თავისუფლად ფლობს გერმანულს და საშუალოდ — ინგლისურს, ფრანგულსა და პორტუგალიურს. გარდა ამისა, ესმის იტალიური ენის პიედმონტური დიალექტი. მამამისი წარმოშობით სწორედ პიედმონტიდან იყო.

კლემენტეს დარბაზში გამართულ საზეიმო ვახშამზე ფრანსისკომ მოკლე სიტყვით მიმართა კარდინალებს, მადლობა გადაუხადა მათ არჩევისათვის და ამას ისეთი რამ მოაყოლა, დღესაც კამათობენ, მხოლოდ უწყინარი ხუმრობა იყო ეს თუ რაღაც სხვა:

— უფალმა შეგინდოთ!

იმ საღამოს რომპაპი სიქსტის კაპელის წმინდა მართას გალერეაში დარჩა, სადაც კონკლავის მონაწილეთათვის ოთახები იმთავითვე იყო მომზადებული. მალე კი იგი რომპაპის აპარტამენტებში გადავა. საერთოდ, ფუფუნება მისთვის უცხოა. ბუენოს-აირესში, სადაც მას, როგორც ქვეყნის უმაღლეს იერარქს, აპარტამენტებში ცხოვრება ეკუთვნოდა, უბრალო სახლში ცხოვრობდა და საჭმელსაც თვითონ იმზადებდა. დღესასწაულებზე ბუენოს-აირესის შორეულ ღარიბულ უბნებში ავტობუსით დადიოდა. რომში ჩასული არასოდეს სარგებლობდა უფასო სასტუმროთი ან ტრანსპორტით და ამ ბოლო კონკლავზეც სასტუმროდან ტაქსით მივიდა.

19 მარტს ახალი რომპაპის ინტრონიზაციის ცერემონიალი გაიმართა, რომელშიც მილიონზე მეტი კათოლიკე მონაწილეობდა. ფრანსისკომ არც აქ უღალატა თავის თავს, ჯავშნიან პაპომობილზე უარი თქვა და ინაუგურაციაზე ჩვეულებრივი, თეთრი ჯიპით მივიდა. მეტიც, მან გზაში მანქანა გააჩერებინა, ხალხი დალოცა და მის მისასალმებლად მისული ხეიბარი გადაკოცნა.

სამი პონტიფიკატია, რაც რომპაპის ინაუგურაციამ მანამდელი კორონაცია ჩაანაცვლა. ბოლო რომპაპი, რომლის აღსაყდრებაც კორონაციით აღინიშნა, პავლე VI იყო, რომელმაც მერე თავისი ტიარა ღარიბებს შესწირა. მას შემდეგ პონტიფიკოსები ტიარის ნაცვლად ეპისკოპოსის მიტრას იხურავენ, ხოლო ძალაუფლების სიმბოლოებად კვლავ „მეთევზის ბეჭედი“ და ომოფორი რჩება.

— მშვიდობა თქვენმა! ფაქს ვობის! — რომპაპის ამ ლათინური სიტყვებით დაიწყო ინაუგურაციის ცერემონია, რომლის დროს პონტიფიკოსმა მიიღო ძალაუფლების სიმბოლოები — ცხვრის ტყავის მანტია და „მეთევზის ბეჭედი“, რომელიც წმინდა პეტრეს, ყოფილი მეთევზის, ერთგვარი სახეა და რომელიც რომაელმა იუველირმა ენრიკო მანფრინიმ დაამზადა. სხვათა შორის, რომპაპმა ფრანსისკომ აქაც დიდი თავმდაბლობა გამოიჩინა და თუ წინამორბედის ბეჭედი 2000 დოლარზე მეტი ღირდა ოქრომჭედლის შრომის ჩაუთვლელად, ამისი სულ რაღაც 50 დოლარად შეაფასეს სპეციალისტებმა.

ვატიკანმა წარადგინა რომპაპის გერბი, რომელიც ქრისტეს, მარიამისა და იოსების გამოსახულებებს წარმოადგენს და ზუსტად იმეორებს კარდინალ ბერგოლიოს სამღვდელმთავრო გერბს, იმ განსხვავებით, რომ ეს პაპობის სიმბოლოთი — წმინდა პეტრეს ორი გადაჯვარედინებული გასაღებით არის შემკული.

ცერემონიას მრავალი საპატიო სტუმარი ესწრებოდა, მათ შორის იყვნენ გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი, აშშ ვიცე-პრეზიდენტი ჯო ბაიდენი, რუსეთის დუმის სპიკერი სერგეი ნარიშკინი და, წარმოიდგინეთ, ზიმბაბვეს პრეზიდენტი რობერტ მუგაბეც, რომელსაც ევროკავშირის ქვეყნებში შესვლა ეკრძალება, მაგრამ ვატიკანი ფორმალურად არ არის ევროკავშირის ნაწილი და ესეც მშვიდად ჩასულა რომში. ინტრონიზაციის წინ ფრანსისკო შეხვდა არგენტინის პრეზიდენტს კრისტინა ფერნენდეს დე კირშნერს და ისევ და ისევ ფოლკლენდების პრობლემაზე ილაპარაკეს.

მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი და საპატიო სტუმარი არა ვაშინგტონიდან, ბონიდან ან ბუენოს-აირესიდან, არამედ კონსტანტინეპოლიდან ჩავიდა წმინდა ქალაქში. მართლმადიდებელი ეკლესიის მსოფლიო პატრიარქი ქრისტიანობის აღმოსავლურ და დასავლურ ეკლესიებად გაყოფის შემდეგ პირველად დაესწრო რომპაპის ინტრონიზაციას. პატრიარქ ბართოლემეოსს ახლდა რუსეთის საპატრიარქოს წარმომადგენელი, ვოლოკოლამსკელი მიტროპოლიტი ილარიონი.

ხუთშაბათს ახალმა რომპაპი ვატიკანში აკრედიტებულ უცხოელ ელჩებს შეხვდა და მოკლე სიტყვით მიმართა, ხოლო თავისი ინტრონიზაციის რამდენიმედღიანი ცერემონია ისე დაასრულა, როგორც მანამდე არც ერთ რომპაპს არ დაუსრულებია:.

იგი თავის წინამორბედს ეწვია!

შაბათს, 23 მარტს ფრანსისკო ვერტმფრენით გაფრინდა კასტელგანდოლფოში, ზუსტად ისე, როგორც 25 დღის წინ ბენედიქტე XVI. გადამდგარი პონტიფიკოსი მას ვერტმფრენის დასაჯდომ მოედანზე შეხვდა, კასტელგანდოლფოს ბაღებში. ორივე რომპაპთა თეთრ სამოსელში იყო გამოწყობილი, მხოლოდ ეს იყო — ბენედიქტეს ზემოდან ასევე თეთრი ქურთუკი ეცვა. თუმცა დამკვირვებლებმა მათ შორის სხვა არაერთი სხვაობაც აღმოაჩინეს: ბენედიქტეს თეთრი შარვალი, თეთრი წინდები და წითელი წაღები ეცვა, ფრანსისკოს — შავი შარვალი, შავი წინდები და შავი ფეხსაცმელი; პირველს გულზე ოქროს ჯვარი ეკიდა, მეორეს — რკინისა; პირველს ხელზე ოქროს მეჭედი ეკეთა, მეორეს — მოოქროვილი ვერცხლისა. ასე იყო თუ ისე, შორიდან ისინი ტყუპისცალებივით ჰგავდნენ ერთმანეთს და როცა ერთმანეთს გადაუხვივნენ მათსავით თეთრი ვერტმფრენის ფონზე, ყველაფერმა რაღაც მეტისმეტად მისტიკური სახე მიიღო.



— ჩვენ ძმები ვართ! — განაცხადა ფრანსისკომ, როცა ორი რომპაპი კასტელგანდოლფოს რეზიდენციაში შევიდა, რომელიც, სხვათა შორის, უფრო დიდია, ვიდრე ვატიკანის რეზიდენცია.

ახალმა რომპაპმა გადამდგარს ღვთისმშობლის მორჩილების ხატი მიართვა და მანაც გულწრფელი მადლიერებით მიიღო საჩუქარი.

ვატიკანის პრესმდივნის, კარდინალ ლომბარდის ვარაუდით, ძნელი წარმოსადგენია, რომ რომპაპები — ყოფილი და მოქმედი — ერთმანეთს ოფიციალურად მიმართავდნენ. მისი სიტყვებით, შეხვედრის ატმოსფერო მეტისმეტად თბილი იყო საიმისოდ, რომ მათ ერთმანეთისთვის თქვენო უწმინდესობაო, ეთქვათ.

ამ უპრეცედენტო შეხვედრით საბოლოოდ შევიდა ძალაში ფრანსისკოს პონტიფიკატი და დასრულდა პაპის ძალაუფლების გადაბარების ზუსტად 40-დღიანი პერიოდი, რომელიც 11 თებერვალს ბენედიქტე XVI-ის განცხადებით დაიწყო გადადგომის შესახებ.

როგორც დაგეგმილი იყო, ორმა პონტიფიკოსმა ერთად ისადილა, მათ პირველად გატეხეს ერთად პური. მერე სამოციქულო სასახლის ბიბლიოთეკაში განმარტოვდნენ და 15 წუთის განმავლობაში საუბრობდნენ. საუბრის თემა, რა თქმა უნდა, ის პრობლემები იქნებოდა, რომლებიც დღეს კათოლიკური ეკლესიის წინაშე დგას — ერთსქესიანი ქორწინებები, აბორტები, ეფტანაზია, ქალთა მღვდლობა, ვატილიქსი...

შეხვედრის ბოლოს ბენედიქტე XVI-მ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, რომ სრულ მორჩილებას უცხადებს ახალ პონტიფიკოსს. დამკვირვებელთა აზრით, ბიოგრაფიათა სხვაობას და იმ ფაქტს, რომ 2005 წლის კონკლავზე რაცინგერის ერთი მთავარი მეტოქე სწორედ ბერგოლიო იყო, ხელი არ შეუშლია მათთვის ამ გულთბილი შეხვედრისას, რომელიც არავინ იცის, კიდევ როდის განმეორდება და საერთოდ განმეორდება თუ არა.

მეორე დღეს კათოლიკური ბზობა იყო. რომში სადღესასწაულო მსვლელობას ფრანსისკო მოუძღოდა, კასტელგანდოლფოში — ბენედიქტე XVI. ორივეს პალმის რტო ეპყრა ხელთ. ზუსტად ერთნაირი. იქნებ ერთი პალმისაც...

**პაატა ნაცვლიშვილი**





PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# საქართველო რუსეთს პარლამენტებით მეგობრობას სთავაზობს

**საქართველოს პარლამენტში საგარეო კავშირურთიერთობათა კომიტეტის ინიციატივით მზადდება ახალი წინადადებები მოსკოვის მისამართით ორმხრივ ურთიერთობათა ნორმალიზაციის შესახებ. ჩვენი გაზეთის მონაცემებით, სამუშაოს დამთავრება გათვალისწინებულია ევროსაბჭოს პარლამენტის სესიაზე პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის გამოსვლასთან დაკავშირებით. სესია გაიმართება აპრილის მესამე დეკადაში. სტრასბურგში, ამ ფორუმის ფარგლებში, ელოდებიან იმ კონტაქტებს რუსეთელ პარლამენტარებთან, რომლებიც იანვრის სესიაზე „ჭიქა ყავით“ დაიწყო.**

**თბილისს განზრახული აქვს, მოაწესრიგოს თანამშრომლობა და ნულამდე შეამციროს აგრესიული რიტორიკა**



— ჩვენ მტკიცედ გვაქვს განზრახული, ავაგოთ რუსეთთან ისეთი ურთიერთობანი, რომლებიც ორიენტირებული იქნება კონკრეტული შედეგების მიღწევაზე. ჩვენი მოქმედებები იქნება კორექტული, გამჭვირვალე და გასაგები როგორც რუსეთელებისთვის, ისე ჩვენი დასავლელი პარტნიორებისთვის, რომლებიც რეგულარულად არიან დაინტერესებული მოსკოვთან კონტაქტებით, — განუცხადა ჩვენს გამოცემას საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ თედო ჯაფარიძემ.

საქართველოს მხარეს განზრახული აქვს, შესთავაზოს რუსეთელ კოლეგებს, შექმნან ორივე ქვეყნის პარლამენტში სამუშაო ჯგუფები, რომლებიც ასევე ხელს შეუწყობენ კონტაქტების განვითარებას სამთავრობო დონეზე. 2008 წლის ომამდე არსებობდა სახელმწიფო დუმასთან მეგობრობის საპარლამენტო ჯგუფი. მას სათავეში ედგა მაშინდელი ვიცესპიკერი, ცნობილი ექიმი, აკადემიკოსი ფრიდონ თოდუა. მაგრამ შეიარაღებული კონფლიქტისა და რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის აღიარების შემდეგ ჯგუფმა შეწყვიტა საქმიანობა. როგორც თბილისში მიაჩნიათ, მისი მოქმედება უნდა აღდგეს. დროთა განმავლობაში საპარლამენტო სამუშაო ჯგუფებს შეუძლიათ, გააფართოონ თავიანთი ინტერესების სფერო, ჩართონ თანამშრომლობაში მმართველი პარტიების წარმომადგენლები. მიზანი — ცივილიზებულ ურთიერთობათა მოწესრიგება და ურთიერთაგრესიული რიტორიკის ნულამდე შემცირებაა.

საქართველოს სურს, აგრეთვე შესთავაზოს რუსეთს, გაამარტივოს სავიზო რეჟიმი საქართველოს მოქალაქეებისთვის. უკვე წელიწადზე მეტია რუსეთელებს არ სჭირდებათ ვიზები საქართველოში. პერსპექტივაში საქართველო დაინტერესებული იქნებოდა იმით, რომ ვიზები საქართველოს მოქალაქეებზე გასცენ რუსეთის საზღვრის გადაკვეთის დროს. ჯერჯერობით კი საკითხი შეეხება მათი მიღების მაქსიმალურ შემსუბუქებას რუსეთის ფედერაციის ინტერესების სექციაში შვეიცარიის საელჩოსთან. ბერნი არის შუამავალი მოსკოვსა და თბილისს შორის 2008 წლის მოვლენების შემდეგ.

შემდეგი ინიციატივა — ეს არის წინანდალსა და პერედელკინოში ინტელიგენციის წარმომადგენლების, სამეცნიერო კონფერენციების, სიმპოზიუმების, კინო და თეატრალური ფესტივალების, მხატვართა გამოფენების, ახალგაზრდობისა და სტუდენტების წინანდელი ყოველწლიური შეხვედრების განახლება.

ამას გარდა, საქართველო, რომელიც დათანხმდა გაგზავნოს სოჭის ოლიმპიადაზე თავისი ნაკრები, შესთავაზებს რუსეთს თანამშრომლობას 2014 წლის თამაშების უშიშროების უზრუნველყოფაში.

საქართველო უარს აცხადებს, აღადგინოს 2008 წლის ომის შემდეგ შეწყვეტილი დიპლომატიური ურთიერთობანი მანამ, სანამ რუსეთი არ გადასინჯავს აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის აღიარების საკითხს. მაგრამ თბილისში ფიქრობენ, თუ როგორ აღადგინონ ნდობა ეტაპობრივად. არის უკვე კონკრეტული მიღწევები. რეგულარულად ეწყობა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის გრიგორი კარასინისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენლის ზურაბ აბაშიძის შეხვედრები, მიმდინარეობს აქტიური მოლაპარაკება მოსკოვის მიერ შვიდი წლის წინათ ქართულ პროდუქციაზე დაწესებული ემბარგოს გაუქმებასთან დაკავშირებით.

ИЗВЕСТИЯ
ОБЩЕНАЦИОНАЛЬНАЯ ГАЗЕТА

# აშშ კმაყოფილია, რომ საქართველო საპრეზიდენტო რესპუბლიკა აღარაა

## ვაშინგტონმა სააკაშვილის უფლებამოსილებათა შეკვეცა მოიწონა

**ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა კმაყოფილება გამოთქვა საქართველოში საკონსტიტუციო ცვლილებების მიღებასთან დაკავშირებით, რომლებიც ზღუდავენ პრეზიდენტ სააკაშვილის უფლებამოსილებას. ვაშინგტონში იმედი აქვთ, რომ წამყვანი პოლიტიკური ძალები შეძლებენ გადალახონ გათიშვა და გამოიმუშაონ კონსენსუსი ქვეყნის განვითარების საკვანძო საკითხებში.**

„შეერთებული შტატები ულოცავს საქართველოს ხელმძღვანელობასა და საპარლამენტო უმრავლესობას ამ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებას, რაც ყველა პარტიას ხელს აძლევს“, — ნათქვამია ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლის პატრიკ ვენტრელის წერილობით განცხადებაში. დოკუმენტში ასევე აღნიშნულია, რომ საკონსტიტუციო ცვლილებები „გზას უხსნის კონსოლიდირებულ დემოკრატიას საქართველოში და საშუალებას იძლევა, ყურადღება გაამახვილონ მრავალ პრობლემაზე, რომლებიც დღეს მთავრობის წინაშე დგას“. ამას გარდა, ამერიკის შეერთებული შტატების საგარეოპოლიტიკურმა უწყებამ კმაყოფილება გამოთქვა „პოლიტიკური კონსენსუსის გამო, რომელიც საფუძვლად უდევს ამ გადაწყვეტილებას“.

წინა დღით საქართველოს პარლამენტმა მესამე, გადამწყვეტი მოსმენით დაამტკიცა საკონსტიტუციო კანონი, რომლის თანახმადაც პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა დაკარგა შესაძლებლობა დაითხოვოს ბიძინა ივანიშვილის მთავრობა. შესწორებას ხმა მისცა 135 დეპუტატმა მმართველი კოალიციიდან „ქართული ოცნება“ და პრეზიდენტის პარტიიდან „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“.

Коммерсантъ

## დედამიწის ზურგზე

### ბერეზოვსკის გარდაცვალება: მეგობრებმა შენიშნეს უცნაურობანი და ურთიერთსაპირისპირო ამბები, ისაუბრეს მის კვირის გეგმებზე



ბრიტანეთის ხელისუფლება იწყებს ბიზნესმენის გარდაცვალების არაჩვეულებრივ ვითარებათა გამოკვლევას. ექსპერტებმა რუსეთში ეჭვი შეიტანეს, რომ პოლიცია მალავს ინფორმაციის ნაწილს, მათ, ისევე როგორც ოლიგარქის მეგობრებს, აშფოთებთ „ჩამოხრჩობილის“ სხეულის მდგომარეობაც, „გამქრალი“ შარფიც. ამავე დროს, ბევრს, ძველებურად, სუიციდისა არ სჯერა.

### „ეს წვნიანი სულ უფრო სქელი ხდება“: ღორების სხეულთა შემდეგ ჩინელებმა მდინარიდან ამოიყვანეს ათასზე მეტი მკვდარი იხვი



ცხოველთა ამ ლეშს მდინარე ნანხეში ადგილობრივი მცხოვრებლები გადაეყარნენ, რის შესახებაც აცნობეს ხელისუფლებას. ეკოლოგებმა ამოიღეს დაღუპულ ცხოველთა და ფრინველთა სხეულები და პლასტიკური პარკებით ჩაფლეს მიწაში. იხვების დახოცვის მიზეზის დადგენა ვერ შეძლეს, მაგრამ ხელისუფლება ირწმუნება, რომ მცხოვრებლებს საფრთხე არ ემუქრებათ. ამ დროს დაღუპული ღორების რიცხვი, რომლებიც შანხაიში მდინარიდან ამოიყვანეს, 16 ათასამდე გაიზარდა.

### ეგვიპტეში მეჩეთი ქრისტიანებისთვის „წამების კამერად“ გადააქციეს, საუბრობენ დაზარალებულები

უცნობი ძალები შეიჭრნენ მეჩეთში კაიროს მახლობლად საღამოს ლოცვის დროს და გამოყარეს იქიდან მლოცველები, ბევრიც აიყვანეს. ზოგიერთი აქტივისტის სიტყვებით, ისინი შეჰყავდათ იქ და საათობით აწამებდნენ. ისინი დარწმუნებული არიან, რომ მწამებლების უკან დგას „მუსულმანი ძმების“ მმართველი პარტია, რომელიც ასე ცდილობს, თავი დააღწიოს ოპოზიციონერებს.



### ბრაზილიის, რუსეთის, ინდოეთის, ჩინეთის, სამხრეთ აფრიკის „სკანდალური“ სამიტი: პუტინის დაცვამ ლამის იჩხუბა სამხრეთ აფრიკის უშიშროების სამსახურთან

რუსეთელებს დურბანში რატომღაც „განსაკუთრებით თბილი“ მიღება მოუწყვეს, ჩივის პრესა. იმის გარდა, რომ პრეზიდენტის შემდეგ ძნელად უშვებდნენ დარბაზში ლავროვს, უშაკოვსა და პესკოვს, კრემლის „ადიუტანტებს“ მცველების სახით, პროტოკოლისტებისა და ჟურნალისტების საერთოდ გამოყრასაც კი ცდილობდნენ. ამინდიც არახელსაყრელია: სამიტის სტუმრებს წარღვნა შეხვდა.

### ავსტრიაში ყინვის გამო ერთმანეთს ასობით ავტომობილი შეეჯახა: ერთი კაცი დაიღუპა

მთლიანად მასობრივ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევაში მონაწილეობა მიიღო დაახლოებით 40 სატვირთო და 60 მსუბუქმა ავტომობილმა. ათობით კაცი დაზარალდა. ავარიის შედეგების ლიკვიდაციისთვის გამოიყო 6 სახანძრო მანქანა, დაახლოებით ათი კარეტა „სასწრაფო დახმარება“ და შვეულმფრენი.



სპექტაკლი

# საჭირბოროტო, დროული...

**დიდაქტიკა დიდი რამაა, თუკი იგი მოვლენის გულისგულში იხედება და ისე მოძღვრავს აღსაზრდელებს. მოზარდთა თეატრში განხორციელებული სპექტაკლი „გურუ მასწავლებელი“ სწორედ ამ სულისკვეთებითაა განმსჭვალული. პიესის მთავარ პერსონაჟს გურამ გურაშვილსაც გურუ იმიტომ შეარქვეს, რომ ცხოვრებისეულ სიბრძნესთან ერთად, თავდავიწყებით უყვარს თავისი საქმე და თავისი მოწაფეები. არადა, ისინი ჩვეულებრივი ჭაბუკები და გოგონები როდი არიან. ყოველი მათგანი მძიმე დანაშაულისთვის არის ნასამართლევი და არასრულწლოვანთა კოლონიიდან მოხვდნენ გურუს სასწავლებელში.**

თავად ფაქტი, რომ ეს თემა გაჟღერდა დუმბაძის საბავშვო თეატრში, ლოგიკური და დროულია. ძნელად აღსაზრდელებად წოდებულნი თავიანთ თავში მოიცავენ ისეთ მენტალურ და ნებელურ ღირსებებს, რომ დასანანია საზოგადოებიდან მათი ასეთი გარიყულობა. გურუ მასწავლებლის მიზანიც ესაა – გაუღვივოს თავის აღსაზრდელებს სწრაფვა საკუთარი ძალების რეალიზაციისკენ, გაუკაფოს გზა სოციალური ინტეგრაციისაკენ,

ამავე მიზანს ემსახურება გურუს სურვილი, ჩაუნერგოს აღსაზრდელებს რწმენა იდუმალი ძალების მიმართ. სიკეთე ყოველთვის და ყველგან იმარჯვებს. სხვა საკითხია, რომ იდუმალი ძალები ხშირად გამოცდას უწყობენ ადამიანს. და თუ იგი ღირსეულად შეხვდება ამ გამოწვევას, ჯილდო არ დაიგვიანებს.

მაგრამ სად არის განთავსებული ახალგაზრდის შესაძლებლობების გზამკვლევი? გურუს პასუხი ცალსახაა – ღვთაებრივ ოცნებაში. ოცნებაში იმიტომ, რომ სწორედ აქ არის დავანებული ენერგიის უდიდესი მარაგი. ღვთაებრივში იმიტომ, რომ მასში მოცემულია შემოქმედის მითითებაც და მოქმედების კარნახიც.

სპექტაკლში გურუს როლს დიდი აღმაფრენით ასრულებს მსახიობი გია ჭყონია. მისი შესრულება დრამატიზმთან ერთად გაჟღენთილია იმ მნიშვნელობის შეგნებით, რასაც ასეთი თავდადებით ემსახურება მისი გმირი. შემთხვევითი როდია მის მიმართ წარმოშობილი მაყურებლის განსაკუთრებული სიმპათიები, რაც გამოიხატება კიდეც სპექტაკლის შემდეგ გამართულ ოვაციებში.

გურუ მასწავლებლის პედაგოგიკურ მოძღვრებაში საკვანძო მომენტია წინააღმდეგობათა გადალახვის თემა. და აი, ასეთი წინააღმდეგობაც გამოჩნდება კიდეც ნარკოდილერ ბაადურის სახით, რომლის სიყვარული გვანცას მიმართ და დიდი თანხის ფლობა ბანკში, გურუს მოწაფეების ცდუნების მძლავრი ფაქტორია. ამას ემატება სტიქიური უბედურების შედეგად მამულის გაპარტახება, რაც ორმაგად ზრდის მოწაფეების ცდუნების ფაქტორს.

ბიზნესმენის როლს, ვისაც სურს გურუს ადგილ-მამულის შესყიდვა, დიდი დამაჯერებლობით ასრულებს მსახიობი კახა ჭოლაძე. მან შესანიშნავად შეძლო სცენურად აესახა ამ კასტის წარმომადგენელთა სახასიათო ნიშნები.

ლირიკული სიღრმით, ფაქიზი ნიუანსებით გვიხატავს ჯუანშერის გაუბედურებულ დედას მსახიობი ლია ბერიაშვილი. მიტოვებულ შვილთან მისი პირველი შეხვედრის ეპიზოდი გამსჭვალულია ღრმა დრამატიზმით. ამ გულისშემძვრელ სცენას მჩქეფარე ტემპერამენტით გადმოგვცემს მსახიობი ლაშა გრძელიძეც.




დამაჯერებლად, პირობითისა და რეალურის ზომიერი შეთავსებით განასახიერებენ შეყვარებულ წყვილს მსახიობები ეკატერინე შარიქაძე (გვანცა) და ცოტნე სალინაძე (ბაადური). ჰედონიზმის მაცდუნებელი ძალა და სალი გონების ჭიდილი ქმნის ამ სპექტაკლის კონტრაპუნქტს. და ამ ჭიდილის ინსპირატორებად სწორედ ბაადური და გვანცა გვევლინებიან.

სახასიათო ნიშნების გამოკვეთით ქმნიან მოწაფე-სიკხების სახეებს ახალგაზრდა მსახიობები შალვა ანთელავა (გოგოთური), ნინო შუშიაშვილი (თინა), შაკო ივანიაშვილი (თორნიკე). ცოცხლად, სახიერად გადმოგვცემს ჟურნალისტი გოგონას პროფესიულ ვნებებს დებიუტანტი თამთა გრიგალაშვილი. ცხოვრებისეული იუმორით და დახვეწილი ლირიზმით აღსავსეა თინას და ჯუანშერის სასიყვარულო სცენები, რასაც შესანიშნავ ფონს უქმნის ედვარდ გრიგის სულისშემძვრელი მუსიკა.

დრამატული თხზულებაც და ერთდროულად სპექტაკლის რეჟისურაც ეკუთვნის ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორს, კოტე მარჯანიშვილის პრემიის ლაურეატს მერაბ გეგიას. სპექტაკლში მიღწეულია თეატრის მთავარი მიზანი, შეძრას და დააფიქროს მაყურებელი ახალგაზრდების სამოღვაწეო ასპარეზზე გამოყვანის საჭირბოროტო საკითხებზე, რაც ორმაგად აქტუალურია გარდამავალ ხანაში მყოფი ჩვენი ქვეყნისთვის.

სპექტაკლის წარმატებას ხელს უწყობს ქეთი თოდაძის მხატვრულად ორგანიზებული სცენოგრაფია და ლიკა ორჯონიკიძის მიერ ფაქიზად შერჩეული მუსიკალური ფონი.

წარმოდგენას ენთუზიაზმით ეხმაურება როგორც მოზარდთა თაობა, ისე პედაგოგ-მასწავლებლები, რაც განაპირობებს კიდეც მის მნიშვნელობას და საპატიო ადგილს თანამედროვე ქართულ თეატრალურ სივრცეში.

**ქეთევან ქართველიშვილი**

27 მარტი – თეატრის საერთაშორისო დღე

# აი, ორიგინალური აღნიშვნა...



„პლეხანოვზე“, კარგარეთელის ქუჩაზე, ულამაზეს ლეგენდარულ შენობაში განთავსებული თეატრის, კინოსა და მუსიკის სახელმწიფო მუზეუმი (რომელიც უკვე „ხელოვნების სასახლედ“ იწოდება) ბევრ სასიამოვნო სიახლეს გვთავაზობს ხოლმე. აი, რა ორიგინალურად აღინიშნა გუშინ აქ „თეატრის საერთაშორისო დღე“: სასახლის, ეგრეთ წოდებულ „უკვდავთა თაღში“ გაიხსნა ჩვენი სახელოვანი მსახიობის **ოთარ მეღვინეთუხუცესის** ხელის მტევნების ანაბეჭდები. პირველად ეს პატივი, თავისი დაბადების 80 წლისთავის გამო, ერგო კინორეჟისორს ელდარ შენგელაიას.



ხელოვნების სასახლის დირექტორი **გიორგი კალანდია** მიესალმება შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლებს, შემდეგ კი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი **გურამ ოდიშარია** მიმართავს ბატონ ოთარ მეღვინეთუხუცესს და ქართული თეატრის მოღვაწეთ ულოცავს თეატრის საერთაშორისო დღეს.

ოთარ მეღვინეთუხუცესმა მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც ეს სიურპრიზი მოუწყო, დალოცა ქართული ხელოვნება, მისი ყველა წარმომადგენელი და გულშემატკივარი.

**ვილენ მარდალეიშვილი,**
**ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო**

აგვისტოს ომის ექო

# არ დაიდარდო, დედაო...

**„ძეგლები დაეცემიან, წიგნი კი — გადარჩება“...**
**წარწერა უძველეს აღმოსავლურ მანუსკრიპტზე.**

არ ვიცი, სადამდე ივლის ეს წიგნი.

არც ის ვიცი, მომავალში მერამდენე თაობა აიღებს ხელში წასაკითხად, მაგრამ ნამდვილად ვიცი, რომ ამ წიგნში, როგორც წყლის ერთ წვეთში – მთელი ზღვა, ისეა არეკლილი ჩვენი ეპოქის ტკივილი და განსაცდელი...

2008 წლის აგვისტოს ომმა 200-მდე ქართველი ჯარისკაცი იმსხვერპლა. მათი უმრავლესობა უცოლშვილოდ გადაეგო. მეოთხე ქვეითი ბრიგადის მეტყვიამფრქვევე, 20 წლის **ვახტანგ გზირიშვილი** ერთ-ერთი იმათგანია, რომლის სიცოცხლეც ცხინვალში, ე. წ. „დუბოვაია როშჩაში“ შეიწირა მტრის ბომბმა...




საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის **მარადი ანასაშვილის წიგნის „არ დაიდარდო, დედაო“...** წაკითხვისას მკითხველს სულში გზირიშვილის ოჯახის ტრაგედია არა განცალკევებულად, არამედ სრულიად საქართველოს ტრაგედიად იჭრება.

ვინ იფიქრებდა, რომ XXI საუკუნეშიც განმეორდებოდა ისტორიული უსამართლობანი. მაგრამ... დღეს დაკარგული გვაქვს ძირველი კუთხეები, გადამწვარია უძველესი ქართული სოფლები...

მამა-შვილი ბადრი და ვახტანგ გზირიშვილები სამშობლოს დაცვას შეეწირნენ. მამა – აფხაზეთის ომში, შვილი – შიდა ქართლში... შეეწირნენ, მაგრამ დაკარგული ვერ დაიბრუნეს, იარა ვერ შეუხორცეს სამშობლოს.

წიგნის რედაქტორი, ცნობილი მწერალი და ჟურნალისტი **გურამ გოგიაშვილი** შესავალში წერს: – **„და უკეთუ ბევრისთვის სიკვდილი ბოლო წერტილია, თანაც უსახელო წერტილი, ჯერ მხოლოდ ოცი წლის ვახტანგ გზირიშვილმა სიკვდილის სულ სხვა დიდი აზრი შეისმინა და „სახელოვნად“ გადააქცია, თითქოსდა რვა გრძელი საუკუნის შემდეგ ვაჟკაცურად შეეხმიანა „ქართული ბიბლიის“ ავტორს, ყველა ნამდვილი ქართველის სათავე-პეპერას და მიაწვდინა კიდეც ხმა, რომ „სახელოვანი სიკვდილი“, შენგან ნაანდერძევი, ჯერ არ მოშლილა საქართველოშიო“.**

გმირთა სახელებს დავიწყება არ უწერია; მოვა დრო და ისევ გამთლიანდება ჩვენი მიწა-წყალი, მაგრამ მანამდე ბევრი მოვლენა გადაფასდება, ბევრ რამეზე ჩაფიქრდება აზრიანი საქართველო...

ძაძით მოსილმა დედამ, მარინა გზირიშვილმა, უდიდესი ტრაგედიის მიუხედავად, შეძლო და თავისი ერთადერთი ვაჟის, ობლად გაზრდილი ვახტანგისა და მისი დაღუპული თანამებრძოლების სახელზე თბილისში აღაშენა წმინდა მეფის ვახტანგ გორგასლის სახელობის ეკლესია, შექმნა ფონდი გმირთა ოჯახების, მათი ობლების დასახმარებლად. ამბობს, რომ იბრძოლებს მანამ, ვიდრე თვითონაც მარადისობას არ შეუერთდება...

მისი თავდადება და ერთგულება მაგალითია სხვებისთვის.

მარადი ანასაშვილმა მკაფიოდ, კარგი ქართულით გადმოგვცა მამულისათვის ზვარაკად შეწირული გზირიშვილების ოჯახის ისტორია, ისტორია, რომელიც უნდა გადაეცეს მომავალ თაობებს, როგორც ზნეობისა და ვაჟკაცობის უბადლო მაგალითი.

მამა-შვილი ბადრი და ვახტანგ გზირიშვილები აფხაზეთისა და შიდა ქართლის ბრძოლებმა ქრისტეს მხედრებად აქცია, ხოლო ჯარისკაცის ქვრივი და ჯარისკაცის დედა მარინა გზირიშვილი პირგამეხებულ გმირად, რომელსაც ომის ღმერთისთვის თავშეწირული თავისი ქმარ-შვილის კვალდაკვალ სიკვდილი დაუთრგუნავს და უფლის სახლისკენ მიმავალ არცთუ იოლ გზას დასდგომია“... (გ. გოგიაშვილი).

მჯერა, წიგნს აუცილებლად ეყოლება უამრავი მკითხველი როგორც ჯარისკაცებს, ასევე რიგით მოქალაქეებს და, განსაკუთრებით ახალგაზრდებს შორის, რადგან მისი გმირია ოცი წლის ჭაბუკი, სამშობლოსთვის შეწირული ვახტანგ გზირიშვილი, რომელმაც თავისი სიკვდილით, დიახაც, დათრგუნა სიკვდილი...

**ლია ჭილაძე**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ფეხბურთი

# 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი

## ფავორიტები ბრაზილიას უახლოვდებიან

**გასულ პარასკევს საფრანგეთის ნაკრებმა 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის საშინაო მატჩში საქართველოს ეროვნულ გუნდს მოუგო, ხოლო მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი ესპანელები საკუთარ მოედანზე ფინელებთან ფრეს დასჯერდნენ, ამიტომ „ფურია როხას“ „სტად დე ფრანსზე“ აუცილებლად მოგება სჭირდებოდა სატურნირო ცხრილში პოზიციების გასამტკიცებლად, მასპინძლებს კი ფრეც ხელს აძლევდა. პაექრობა სტუმრების იერიშებით დაიწყო და ჩავის დებიუტშივე შეეძლო პირენეელთა დაწინაურება, მაგრამ მისი დარტყმა უზუსტო გამოდგა. პირველი ტაიმის მიწურულს რიბერი პირისპირ გავიდა ვალდესთან, მაგრამ „ბარსას“ მეკარემ იყოჩაღა. მეორე ტაიმში ესპანელებმა მაინც მიაღწიეს საწადელს: 58-ე წუთზე პედრომ ახლო მანძილიდან გაიტანა გოლი და სტუმრებს გამარჯვება მოუტანა.**



მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მე-5 ტური მსოფლიო პრესის ყურადღების ცეტრში აღმოჩნდა ქალაქი პოდგოროცა, სადაც ჩერნოგორიელები ინგლისელებს დაუპირისპირდნენ. ჯერ იყო და, კოკისპირული წვიმის გამო მატჩის გადადებაც უნდოდათ, შემდეგ კი სტადიონზე ჩერნოგორიელმა გულშემატკივრებმა ერთმანეთს ცხვირ-პირი დაულეწეს. ამ გაწევ–გამოწევაში ერთი ინგლისელი ქომაგიც დაზარალებულა – ბლაგვი საგანი მოხვედრია თავში. თამაშის მსვლელობისას მაყურებლებმა უამრავი საგანი ისროლეს მოედანზე. ორთაბრძოლა დამთავრდა ფრედ – 1:1, რითაც ჩერნოგორიელებმა ჯგუფში ლიდერობა შეინარჩუნეს.



**I ჯგუფი.**
**საფრანგეთი-ესპანეთი 0:1.**
**გოლი:** 0:1 პედრო (58).
ესპანეთი – 11 , საფრანგეთი – 10, საქართველო – 4, ბელორუსი – 3, ფინეთი – 2 ქულა.

### ევროპა

**A ჯგუფი.**
**სერბეთი–შოტლანდია 2:0.**
**გოლები:** 1:0 ჯურიჩიჩი (59), 2:0 ჯურიჩიჩი (65).
**ბელგია–მაკედონია 1:0.**
**გოლი:** 1:0 აზარი (63).
**უელსი–ხორვატია 1:2**
**გოლები:** 1:0 ბეილი (21-პენ), 1:1 ლოვრენი (77), 1:2 ედუარდო (87).
ბელგია – 16, ხორვატია – 16, სერბეთი 7, უელსი – 6, მაკედონია – 4, შოტლანდია – 2 ქულა.

**B ჯგუფი.**
**სომხეთი–ჩეხეთი. 0:3.**
**გოლები:** 0:1 ვიდრა (47), 0:2 ვიდრა (81), 0:3 კოლარი (90).
**დანია-ბულგარეთი 1:1.**
**გოლები:** 0:1 მანოლევი (51), 1:1 აგერი (63-პენ).
**მალტა-იტალია 0:2.**
**გოლები:** 0:1 ბალოტელი (8-პენ), 0:2 ბალოტელი (45).
იტალია – 13, ბულგარეთი – 10, ჩეხეთი – 8, დანია – 6, სომხეთი – 3, მალტა – 0 ქულა.

**C ჯგუფი.**
**გერმანია-ყაზახეთი 4:1.**
**გოლები:** 1:0 როისი (23), 2:0 გიოტცე (27), 3:0 გიუნდოგანი (32), 3:1 შმიდტგალი (47), 4:1 როისი (90).
**ირლანდია-ავსტრია 2:2.**
**გოლები:** 0:1 ჰარნიკი (11), 1:1 უოლტერსი (25-პენ), 2:1 უოლტერსი (45), 2:2 ალაბა (92).
გერმანია – 16, შვედეთი – 8, ავსტრია – 8, ირლანდია – 8, ყაზახეთი – 1, ფარერები – 0 ქულა.

**D ჯგუფი.**
**ესტონეთი-ანდორა 2:0.**
**გოლები:** 1:0 ანიერი (45), 2:0 ლინდპერე (61).
**თურქეთი-უნგრეთი 1:1.**
**გოლები:** 1:0 ილმაზი (63), 1:1 ბოდე (71).
**ჰოლანდია-რუმინეთი 4:0.**
**გოლები:** 1:0 ვან დერ ვაარტი (12), 2:0 ვან პერსი (56), 3:0 ვან პერსი (65-პენ.), 4:0 ლენსი (90).
ჰოლანდია – 18, უნგრეთი – 11, რუმინეთი – 10, თურქეთი – 7, ესტონეთი – 6, ანდორა – 0 ქულა.

**F ჯგუფი.**
**აზერბაიჯანი-პორტუგალია 0:2.**
**გოლები:** 0:1 ბრუნო ალვეში (63), 0:2 უგო ალმეიდა (79).
**ჩრდ. ირლანდია-ისრაელი 0:2.**
**გოლები:** 0:1 რაფაელოვი (77), 0:2 ბენ ბასატი (84).
რუსეთი – 12, ისრაელი – 11, პორტუგალია – 11, ჩრ. ირლანდია – 3, აზერბაიჯანი – 3, ლუქსემბურგი – 2ქულა.

**H ჯგუფი.**
**უკრაინა-მოლდოვა 2:1.**
**გოლები:** 1:0 იარმოლენკო (61), 2:0 ხაჩერიდი (71), 2:1 სუვოროვი (80).
**პოლონეთი-სან მარინო 5:0.**
**გოლები:** 1:0 ლევანდოვსკი (21-პენ), 2:0 პიშჩეკი (28), 3:0 ლევანდოვსკი (50-პენ), 4:0 ტეოდორჩიკი (61), 5:0 კოსეცკი (91).
**ჩერნოგორია-ინგლისი 1:1.**
**გოლები:** 0:1 რუნი (6), 1:1 დამიანოვიჩი (76).
ჩერნოგორია – 14, ინგლისი – 12, პოლონეთი – 8, უკრაინა – 8, მოლდოვა – 4, სან მარინო – 0 ქულა.

### სამხრეთ ამერიკა

ბოლივია-არგენტინა 1:1.
ეკვადორი-პარაგვაი 4:1.
ჩილე-ურუგვაი 2:0.
ვენესუელა-კოლუმბია 1:0.

რაგბი

# ალპებში მოთვინიერებული აპენინელები

**საფრანგეთის ალპებში გრძელდება 18 წლის მორაგბეთა ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც რვა გუნდი მონაწილეობს. საქართველოს ნაკრებმა პირველი შეხვედრა ირლანდიელებთან 4 ქულით (27:31) დათმო და მედლებისთვის მებრძოლთა რიგებს გამოაკლდა, სამაგიეროდ, მე-5 ადგილის შანსი შეინარჩუნა.** ჩვენმა ბიჭებმა (ირაკლი სვანიძე, იოსებ კიკვაძე, სანდრო ილურიძე, თემურ ირემაძე, დავით გულითაშვილი, რევაზ ჯინჭველაშვილი, ვასილ ლობჟანიძე. ბექა კაკაბაძე, ბადრი ალხაზიშვილი, ზაურ ხარებავა, თორნიკე ზოიძე, როლანდ კვაჭაძე, თორნიკე ბუბუტეიშვილი, ბადრი დანგაძე, დავით პაპავაძე. დავით ფხაკაძე, გიორგი თორაძე, გუგა ხანთიძე, ბექა გიორგაძე, თეიმურაზ თუთბერიძე, ბადრი ლიპარტელიანი, დევი დევსურაშვილი, დავით ლობჟანიძე, ჟორა მღებრიშვილი, გიორგი ხვისტანი, ლევან გიკაშვილი) მეორე მატჩში იტალიის ნაკრები დაამარცხეს 17:12. პირველი ტაიმი გარდამავალი უპირატესობით წარიმართა, თუმცა ჩვენებმა შესვენებამდე დაწინაურება შეძლეს. მეორე ტაიმში ქართველებმა იძალეს და ეს ანგარიშშიც აისახა. საგულისხმოა, რომ ევროპის ჩემპიონატზე შარშანაც მსგავსი სიტუაცია შეიქმნა: მეხუთე ადგილისთვის ახალგაზრდა ბორჯღალოსნებმა სწორედ „სკუადრა აძურას“ აჯობეს, თუმცა მერე შოტლანდიური ბარიერი ვერ დაძლიეს და მე-6 ადგილს დაყაბულდნენ. წლეულს სქოთებმა უელსელებს აჯობეს და მედლებისთვის პაექრობას განაგრძობენ. უელსელებმა კი პორტუგალია დაჯაბნეს (45:0) და მე-5 ადგილისთვის საქართველოს ნაკრებს გაუწევენ მეტოქეობას.



**ლაშა დიდია**

კრივი

# შვიდეული ხერსონში იასპარეზებს

**საქართველოს მოკრივეთა ნაკრებს წლეულს სათავეში ბონდო მამულაშვილი ჩაუდგა. მისი ხელმძღვანელობით ბიჭები მონდომებით ემზადებიან ახალი სეზონისთვის. ორიენტირი, ცხადია, ევროპის ჩემპიონატი იქნება, რომელსაც მაისის მეორე ნახევარში ბელარუსის დედაქალაქი უმასპინძლებს.** ჩვენმა გუნდმა ბოლო დროს ორი საწვრთნელი შეკრება გაიარეს, ბიჭებმა ბაქოს საერთაშორისო ტურნირზეც იასპარეზეს. ამ დღეებში კი ნაკრების შვიდი წევრი ხერსონში იმყოფება და იქაურ საერთაშორისო ტურნირში მოსინჯავს ძალებს. ესენი არიან: დავით ნანავა (49 კგ), ავთანდილ ჭუბაბრია (52), გიორგი გოგატიშვილი (სამივე – ფოთი, 56), ირაკლი ჭინჭარაული (გარდაბანი, 64), 2011 წლის ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი და 21-წლამდელებში კონტინენტის პირველობის ფინალისტი ზაალ კვაჭატაძე (თბილისი, 69), გიორგი გიორგაძე (თბილისი, 75) და რომან თავაძე (ქუთაისი, 75). ნაკრების დანარჩენი წევრები დედაქალაქში განაგრძობენ წვრთნას. ბელარუსში წამსვლელთა ვინაობა აპრილის სპარინგების შემდეგ გაირკვევა, თუმცა, ცხადია, რომ მწვრთნელები ხერსონის ტურნირის შედეგებსაც გაითვალისწინებენ.



**გივი გაგუა**

სუმო

# ოქროს მედლები ქართული ფინალებით

**გერმანიის ქალაქ პონიცში დამთავრდა სუმოისტთა ევროპის ჩემპიონატი. შეჯიბრებაში 17 ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ, მათ შორის - ხუთი ქართველი სპორტსმენი, რომლებმაც სხვადასხვა სინჯის 11 მედალი მოიპოვეს. უპირველესად ავთანდილ ცერცვაძის წარმატება უნდა გამოვყოთ. იგი სუმოში ევროპის 2009 წლის ჩემპიონი და მრავალგზის პრიზიორია.** გერმანიაში მეორედ დაიმსახურა კონტინენტის ჩემპიონის ოქროს მედალი აბსოლუტურ წონით კატეგორიაში. ჩვენებურმა ზედიზედ დაამარცხა ნიკოლაი ნიკოლოვი (ბულგარეთი), ნეილ სკოტი (დიდი ბრიტანეთი), ჯონ ფოსი (ნორვეგია), სტილიან გეორგიევი (ბულგარეთი) და გადამწყვეტ პაექრობაში თანაგუნდელ ლევან ბერიანიძეს მოუგო. გერმანელმა გულშემატკივრებმა ქართული ფინალი მძიმე წონაშიც ((115) იხილეს. აქაც ცერცვაძე და ბერიანიძე დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, ოღონდ ამჯერად როლები შეიცვალა: ყოფილმა თავისუფალი სტილით მოჭიდავე ბერიანიძემ სძლია გამოცდილ მეტოქეს და ევროპის ჩემპიონატზე დებიუტი ოქროს მედლითაც აღნიშნა. ფინალამდე მან ფრედ კოპენი (გერმანია), ფარგი ანდერსენი (ნორვეგია), ჰალტონ ალსადი (ჰოლანდია) და შარშანდელი ევროპის ჩემპიონი ხრისტო ხრისტოვი (ბულგარეთი) ჩამოიშორა გზიდან.

ქართველებმა ვერცხლის მედალი გუნდურშიც აიღეს. რადგანაც უფროსთა ნაკრებში მხოლოდ ორი წარმომადგენელი იყო, ორი წევრი ახალგაზრდებიდან დაიმატეს – გიგა გელაშვილი და ზაზა ხუბულური. ჩვენებმა ბრიტანელებსა და ნორვეგიელებს კი აჯობეს, მაგრამ ფინალი ჰოლანდიელებთან დათმეს. სამაგიეროდ, გიგამ და ზაზამ ოქროს მედლები 18-წლიანებში მოიპოვეს. გელაშვილმა მძიმე წონაში ((100) ფინალი დანიელ ნენოვს (ბულგარეთი) მოუგო და პირველი ადგილი დაიკავა, ხუბულურმა ნახევარფინალი ნენოვთან დათმო და მე-3 ადგილს დასჯერდა, სამაგიეროდ, აბსოლუტურში იყოჩაღა - გადამწყვეტ პაექრობაში თანაგუნდელ გიგა გელაშვილს სძლია. ამ წონაში ბრინჯაოს მედალი შოთა სულთანიშვილს ერგო. ახალგაზრდა ქართველმა სუმოისტებმა გუნდურში უნგრეთს, ნორვეგიას, ჰოლანდიას აჯობეს და პირველი ადგილი დაიკავეს.



საგულისხმოა, რომ სუმოისტთა კონტინენტის პირველობის დამთავრების შემდეგ სპორტის ამ სახეობის ევროპის ფედერაციის კონგრესზე პირველ ვიცე-პრეზიდენტად საქართველოს სუმოს კავშირის თავკაცი თენგიზ რუხაძე აირჩიეს.

**ლექსო ცინცაძე**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

**ნათქვამი**

# გუნდი და გუნდი ლიდერთა, მოკაშკაშ-მოელვარეო...

**კვირა არ გავა, საპარლამენტო უმცირესობას, მის უმწირესობას, მორიგი ლიდერი რომ არ გამოუჩნდეს. ოფიციალური, კენჭნაყარი ლიდერი, ხომ ჰყავდა და ჰყავდა იმთავითვე, იმქუთაისითვე — დავით ბაქრაძე, თბილისური საპარლამენტო სრა-სახლი რომ სულ ადვილად გაწირა, გააპარტახებინა და გამოაშიგნინა...**

მერე და მერე, სამეფო ტელეარხის, „რუსთავი-2“-ის გამორჩეული მონდომებითა და მცდელობით, ეკრანიდან „ერთ-ერთ ლიდერად“ მეთოდურადა და ზედიზედ ცხადდებოდნენ: გიორგი (პარტიული „კლიჩკა“ გოკა) გაბაშვილი, დავით დარჩიაშვილი („უკლიჩკო“), აკაკი (აკუ) მინაშვილი, აკაკი (კვლავ აკუ) ბობოხიძე, სერგო რატიანი (სასტუდიო იატაკზე ერთხელ ფეხასრიალებული), ირმა ნადირაშვილი (ტელევარსკვლავობიდან პოლიტვარსკვლავობამდე თავბრუდამხვევი კარიერის გავლის ტიპური კი არა, ქრესტომათიული ნიმუში); და კიდევ ერთი-ორი, არც უმსგავსო და არც შორი-შორი, ოღონდ ჩემი დაბინდული მეხსიერება სახელ-გვარს ამ წუთში ვერ მაწვდის...

სულ ბოლოს მისი უმწირესობის მორიგ ლიდერად ჩიორა თაქთაქიშვილი მოგვევლინა იმავე ტელეეკრანის ენა-პირით და უბრალოდ ფიქსირებით კი არა — კაი ათიოდ ტელეკამერის წინ წარმდგარი და დოლორეს იბარუსის (აღარც რომ აღარაფერი აკლია იქამდე) მგზნებარებით მოორატორე. ამჯერად ცხვირნათელი წარუდგა კამერებსა და მაყურებლებს. მაგას რომ საბრიფინგედ მოიწვევ და ამდენ ტელეჟურნალისტს შეუგროვებ — მარტო ეს ეყოფა, რომ ნამდვილ ლიდერად იგრძნოს თავი; ნაციონალური მოძრაობის აღმოჩენა, ხომ მანამდეც და ისედაც იყო. თანაც უკვე ისე მარჯვედ, ძერასავით კორტნის ქაროცნელ პოლიტმოწინააღმდეგეებს, რომ ჩიორობა უკვე აღარ შეეფერება და დროა, ძერორას სტატუსიც ვუბოძოთ და ძერორა იბარურად აღვიქვათ...

საერთოდ კი, ეგ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა რევოლუციური კადრების, რევოლუციონერი ლიდერების, მათ რიცხვში ქალ-ლიდერების ნამდვილ სამჭედლოდ იქცა; ამიტომ არ გაგვიკვირდეს, თუ პრონაცური ტელეეკრანებიდან ახალ-ახალი ლიდერები გადმოეკიდონ. ვაითუ „სალიდერო“ (ანუ ვისიც ლიდერები არიან) მასები აღარც კი დარჩეს...

**ბერდია ბედოიძე**

**საღ წაიყვან სადაურსა...**

# ალექსანდრე სუმბათაშვილი-იუჟინი (1857-1927)



**რუსი დრამატურგი, მსახიობი, თეატრალური მოღვაწე. დაიბადა ტულის ოლქის სოფელ კუკუევკაში. 1863-77 წლებში ცხოვრობდა საქართველოში. თბილისის ვაჟთა I გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე (1877-81).**

მისი, როგორც დრამატურგის, დებიუტი 1877 წელს შედგა და სულ ოცამდე პიესა დაწერა. საქართველოს მიუძღვნა ისტორიული დრამა „ღალატი“ (1903). რუსულენოვანი დრამატურგია, ქართულად 1889 წლიდან ითარგმნებოდა. პროფესიულ სცენაზე პირველად თბილისში გამოვიდა 1876-ში. 1878-79 წლების სეზონში გამოდიოდა პეტერბურგის თეატრებში. 1882 წლიდან გარდაცვალებამდე მოსკოვის მცირე მხატვრულ თეატრში იღვაწა: 1909-დან — დასის მმართველად, 1918-დან — სამხატვრო საბჭოს თავმჯდომარედ, 1923-დან — დირექტორად.

მის საუკეთესო როლებად ითვლება: დიუნუა („ორლეანელი ქალწული“, შილერი), მარკიზ პოზა („დონ კარლოსი“, შილერი); მაკბეტი, რიჩარდ III (შექსპირის ამავე სახელწოდებების ტრაგედიები); ფამუსოვი („ვაი ჭკუისაგან“, გრიბოედოვი) და სხვა. 1923 წელს მონაწილეობდა რუსთაველის თეატრის სპექტაკლში „მზის დაბნელება საქართველოში“, რომელიც კოტე მარჯანიშვილმა დადგა ზ. ანტონოვის პიესის მიხედვით.

ა. სუმბათაშვილი-იუჟინი საფრანგეთში, ნიცაში გარდაიცვალა. დაკრძალულია მოსკოვში, ნოვოდევიჩის სასაფლაოზე.

მოამზადა
**თამაზ ებანოიძემ**

**ინფორმაცია**

## ე.წ. სამხრეთ ოსეთში რუსი სამხედროები ტაქტიკურ სწავლებას გადიან

**ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე მდებარე რუსეთის სამხედრო ბაზებში ჯარისკაცები საბრძოლო სროლაში ტაქტიკურ სწავლებას გადიან.**

**ამის შესახებ ინფორმაციას ოსური მედია სამხრეთ სამხედრო ოლქის პრესსამსახურზე დაყრდნობით ავრცელებს.**

**— ძარწემის პოლიგონზე, სამხრეთ ოსეთში დისლოცირებული რუსი სამხედროების მოტომსროლელი ბრიგადა, საბრძოლო სროლებში ტაქტიკურ სწავლებას გადის. სწავლებაში დაახლოებით 1500 სამხედრო მონაწილეობს. წვრთნებში ჯარისკაცებთან ერთად ჩართულია 100 ერთეული სამხედრო ტექნიკა, — ნათქვამია სამხრეთ სამხედრო ოლქის პრესსამსახურის განცხადებაში.**

ინტერპრესი

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

**მოსაგონარი**

# ნათელა სადირაშვილი

მიმდინარე წლის 25 მარტს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ ილია ჭავჭავაძის კვლევის ცენტრის თანამშრომლები მწუხარებით ვიუწყებოდით, რომ გარდაიცვალა ჩვენი ცენტრის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, დამსახურებული პედაგოგი **ნათელა სადირაშვილი**.



ამ წერილით გვინდა, კიდევ ერთხელ თანავუგრძნოთ მის ოჯახს, საყვარელ შვილებს, შვილიშვილებს, ახლობლებს — ყველას წინაშე ვალმოხდილი ქალბატონის ამ ქვეყნიდან წასვლისა გამო.

შეიძლება ითქვას, გარკვეულწილად, ჩვენც ჭირისუფლები ვართ, რადგან დავკარგეთ კოლეგა, რომელთანაც წლების განმავლობაში საქმიანი ურთიერთობა გვაკავშირებდა და პიროვნება, რომელიც ერთნაირი სითბოთი ახერხებდა მეგობრობას ყველა თაობის წარმომადგენელთან.

პირდაპირობა და გულახდილობა ხომ ქალბატონ ნათელას ხასიათის გამოკვეთილი თვისებები იყო, ასეთი გულღია გახლდათ ის სამსახურშიც და საქმის მიღმა — შეკრებებზე, პრეზენტაციებზე, თუ სხვა, ერთად გატარებულ, ამჟამად უკვე ტკბილად მოსაგონარ ღონისძიებებზე.

ნათელა საღირაშვილი დაიბადა 1930 წლის 8 დეკემბერს თბილისში. 1938-1948 წლებში სწავლობდა ქ. თბილისის 50-ე ქალთა სკოლაში. 1940-1955 წლებში კი — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე. 1955-1960 წლებში წინანდლის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელია, 1961-1970 წლებში — თბილისის მე-3 სკოლა-ინტერნატის პედაგოგი, 1971-1985 წლებში — გორის პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი. 1975 წელს დაიცვა დისერტაცია თემაზე „სამოგზაურო ჟანრი XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში“. აგრეთვე, მისი კვლევის სფერო იყო ამ პერიოდის საბავშვო ლიტერატურა.

1985 წლიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელია... სწორედ ამ პერიოდიდან გვახსოვს სანდომიანი გარეგნობის, ლამაზი ქართულით მოსაუბრე ქალბატონი, უზომოდ შეყვარებული თავისი ერის ლიტერატურაზე, მის ისტორიაზე. გვახსოვს, როგორი კეთილსინდისიერებით უძღვებოდა იგი სამეცნიერო საქმეს. ამავე დროს, როგორც პედაგოგს, მუდმივად ურთიერთობა ჰქონდა ახალგაზრდებთან, უშურველად გადასცემდა მათ ცოდნას და საპასუხოდ დიდ სითბოსა და სიყვარულს იღებდა.

2006 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე ქალბატონი ნათელა ილია ჭავჭავაძის კვლევის ცენტრის თანამშრომელი გახლდათ. დაარსების პირველი დღიდან, იგი ჩვეული ენერგიით იყო ჩართული ცენტრის როგორც სამეცნიერო, ისე, საზოგადოებრივ საქმიანობაში. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, როგორი ხალისით მოდიოდა ის სამსახურში. მისთვის, ისევე როგორც თითოეული ჩვენგანისთვის, იმ ავბედითი „რეფორმების“ დროს დაფუძნებული ეს პატარა „კერა“ იყო ქალბატონ ნათელას მეორე ოჯახი, სულიერი საზრდო და იმედი შემოქმედებითი თვითგადარჩენისა.

...ბოლო რამდენიმე თვე იავადმყოფა, მოკითხვისას სამსახურში მოსვლას ნატრობდა, თან საქმეზე ფიქრობდა, თუმცა, ამ თვალსაზრისით სანერვიულო არაფერი იყო, რადგან სანიმუშო პუნქტუალობით ჰქონდა ჩაბარებული შრომები, რომლებიც სხვა მასალასთან ერთად, საფუძვლად დაედება გამოსაცემად გამზადებულ კრებულს.

ილია ჭავჭავაძის პერსონალურ ენციკლოპედიაზე მუშაობა გრძელდება და, ბუნებრივია, სამომავლოდ, მისი თანამშრომლების გვერდით დამსახურებულად იქნება მოხსენიებული ნათელა საღირაშვილის სახელი.

**გიორგი აბაშიძე, ნინო მამარდაშვილი, მანანა ბარათაშვილი, ნანა ზღულაძე, ზეინაბ ლომჯარია, თამარ მიძაძე, ლეილა სულხანიშვილი, მანანა ყიფიანი, მარი წერეთელი, გურამ ჭოხონელიძე.**

---

**შვილები ია, ლადო ქვილითაიები, რძალი ნატალია დავითაშვილი, ძმისწული ოლეგ ხლისტოვი, მული ზაირა ქვილითაია, მულისშვილები ლადო, გიორგი კვაჭაძეები, მძახლები მარინა, თემურ დავითაშვილები იუწყებიან**

### ნინა ქვილითაიას

**გარდაცვალებას. პანაშვიდი 28, 29 III, 17 სთ. დაკრძალვა 30 III, 14 სთ. ნინო რამიშვილის 31. მე-8 სართული.**

---

**ვილი ალავიძე, გურამ კლიმიაშვილი, ელიზბარ ლომინაძე, თენგიზ კალანდაძე, ალეკო ფარულავა, ჯემალ ქიტიაშვილი იუწყებიან**

### ნინა ქვილითაიას

**გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ოჯახის წევრებს.**

---

**მანანა, ბონდო ხობელავები ოჯახით მწუხარებით იუწყებიან სათნო და კეთილშობილი ქალბატონის**

### ნინა ქვილითაიას

**გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ოჯახის წევრებს და სხვა ჭირისუფალთ.**

---

**ლია, ჯონი ჩხენკელები მწუხარებით იუწყებიან**

### ნინა ქვილითაიას

**გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ოჯახის წევრებს.**

---

**დავით ჯინჯოლავა, ია შალვაშვილი, გიორგი ჯინჯოლავა, სალომე ჯინჯოლავა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

### სოფიო ჯინჯოლავა

**პანაშვიდი 29, 30 III, 17 სთ. დაკრძალვა 31 III, 14 სთ. მის: ალ. ყაზბეგის (ყოფილი პავლოვის) №29/2, VI სადარბაზო, VI სართული.**

---

**საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი სინანულით იუწყება ქალბატონ ნინო ანანიაშვილის ძმის**

### ლევან ანანიაშვილის

**გარდაცვალებას, უსამძიმრებს ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.**

მერაბ ბერძენიშვილი

---



**მეუღლე ლილი იორდანიშვილი-ტყემალაძე, შვილები მანანა, გიორგი, დავით ტყემალაძეები, შვილიშვილები ირაკლი, რეზო, სალომე, ბარბარე, სოფიკო, ლევან ტყემალაძეები, ნინო, ერეკლე ცინცაძეები, რძლები მარინა ყავლაშვილი, ლელა ჯინჭარაძე, ნინო ფილფანი, მერი ჯვიჭიძე, სიძეები ლევან ცინცაძე, აკაკი შელია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

### რევაზ ტყემალაძე

**პანაშვიდი 28, 29 III, 16 სთ. გამოსვენება 30 III, 14 სთ. მის: მიცკევიჩის ქ. №23.**

---

**ჯემალ გაგუნაშვილი ოჯახით იუწყება, რომ გარდაეცვალა უახლოესი მეგობარი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, შესანიშნავი პიროვნება**

### რეზო ტყემალაძე

**დაკრძალვა 30 III, 14 სთ. მიცკევიჩის ქუჩა 23, I სადარბაზო, IV სართული.**

---

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ჩვენი ძველი აქტიური ავტორი და მეგობარი, ჭეშმარიტი მამულიშვილი და საზოგადო მოღვაწე, ჩინებული ადამიანი**

### რევაზ ტყემალაძე

**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## ჩვენი კარაბადინი

# შეუტიე აგრესიას!

## რისხვის მართვის 8 ხერხი

**ჩვენ უნდა ვიყოთ ძლიერები, უშიშარნი და... აგრესიულები? მაგრამ, თუ რისხვის აფეთქებანი ზღვარს გადასცილდება, ეს უკვე ხელს გვიშლის.**

**ჩვენი ცხოვრება აღსავსეა მცირე და დიდი სტრესებით. როდესაც ისინი გროვდება, ხდება ემოციური გადმოფრქვევები — ეს გადავსებულ ჭიქა წყალს გავს. როდესაც ჩვენ თავად ვავლენთ აგრესიას, საფრთხის ქვეშ ვაყენებთ სხვა ადამიანებთან ურთიერთობებს, კარიერას, ოჯახურ ბედნიერებას. ამიტომ უნდა ვისწავლოთ აგრესიის გრძნობის შეცნობა, შევძლოთ მისი მიზეზის გაგება და ვებრძოლოთ მას. თუ გამოვიჩენთ მოთმინებას და სიბრძნეს, შეიძლება წარმატებით ვისწავლოთ „რისხვის ალის ჩაქრობა" ჩვენში. უნდა დავიმახსოვროთ 8 ხერხი იმისა, თუ როგორ მოვთოკოთ ჩვენი რისხვა.**

### გავდგეთ განზე

ზოგჯერ საუკეთესო ხერხი იმისა, რომ არ განვიცადოთ რისხვა, არის ის, რომ ფიზიკურად განვშორდეთ გაღიზიანების წყაროს. მაგალითად, თქვენ ხართ რიგში და გრძნობთ, რომ თქვენი მეზობლები თავიანთი ქცევით ან საუბრებით აჩენს თქვენში ლამის იმის სურვილს, რომ გაარტყათ მათ! გადექით განზე, გამოდით რიგიდან, შენობიდან — უმჯობესია სუფთა ჰაერზე. ეს დამშვიდების შესაძლებლობას იძლევა.



### შევცვალოთ თვალსაზრისი

ხშირად ვღიზიანდებით სხვა ადამიანებთან ურთიერთობის პროცესში. როდესაც ოპონენტი არ იზიარებს ჩვენს თვალსაზრისს, თავისას არ ეშვება და ყველა არგუმენტი ამოიწურა — ჩვენ რისხვას განვიცდით. სინამდვილეში ჩვენ ვგრძნობთ სისუსტეს, და ეს გვაღიზიანებს. პრობლემას სხვა ადამიანის თვალით შეხედეთ. დაივიწყეთ თქვენი არგუმენტების შესახებ. ეს დაგეხმარებათ გაიგოთ, რატომ ემყარება თქვენი საუბარი კონფრონტაციას. და, შეიძლება, აგრესიის აფეთქების ნაცვლად მიხვიდეთ ერთობლივ შეთანხმებასთან.

### ჩავისუნთქოთ

ზოგჯერ არ შეგვიძლია უბრალოდ, ერთი ხელის მოსმით, გავართვათ თავი რისხვას, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ვისარგებლოთ პაუზით. ამისთვის საჭიროა გავაკეთოთ რამდენიმე ნელი ღრმა ჩასუნთქვა. ამოსუნთქვა ჩასუნთქვაზე უფრო ხანგრძლივი უნდა იყოს. თავდაპირველად უნდა „ამოისუნთქოს" ლავიწებმა, შემდეგ მხრებმა, მკერდმა, ბოლოს კი — მუცელმა. მოიმზადეთ სიტყვები „მშვიდად ვარ", „მოვდუნდი". კიდევ ერთი დამამშვიდებელი ხერხი — დავითვალოთ 100-დან 1-მდე.

### ვისაუბროთ ღიად

ყველას გვიყვარს გადავდოთ იქით, შემდეგისთვის არასასიამოვნო საუბრები. ნუ გააკეთებთ ამას. უკვდავი რომანის „ქარისგან წაღებულნის" გმირი ქალის სკარლეტ ო' ჰარას მეთოდი — ვიფიქროთ ამაზე ხვალ — ყოველთვის როდია ხელსაყრელი. ისაუბრეთ მაშინ, როდესაც საჭიროა და ნუ შეგრცხვებათ თქვენი გრძნობებისა. შეგიძლიათ ისაუბროთ მათზე — ეს რისხვის შემცირების სწორი ხერხია.

### წმინდა მამაკაცური გადაწყვეტილება

საფეხბურთო მატჩის ყურება — ნეგატიური ემოციებისგან თავის დაღწევის შესანიშნავი საშუალებაა. ფსიქოლოგებმა იციან: როდესაც ადამიანი თავს საშუალებას აძლევს იყვიროს ბოლომდე, ის მშვიდდება. ეს დაგროვილი ბოღმისგან ყველაზე ბუნებრივი გამოსავალია.

### ავიღოთ ჰანტელები

მეცნიერებმა დაადასტურეს, რომ ფიზიკურ ვარჯიშს შეუძლია შეამსუბუქოს მრისხანე განწყობილება. რისხვა და აგრესია დაკავშირებულია დაბალ დონესთან სეროტონინისა — სიხარულის ჰორმონისა. ხოლო ნებისმიერი ფიზიკური დატვირთვა ზრდის ამ დამამშვიდებელი ქიმიური ნივთიერებების დონეს ჩვენს ტვინში.

### შევცვალოთ მინუსი პლუს-ზე

გადააქციეთ თქვენი რისხვა პოზიტიურ ენერგიად! ბოლოს და ბოლოს, ეს ემოცია ხომ ბუნებამ უბრალოდ არ გვიბოძა. რისხვა გვაძლევს ფიზიკურ ძალას. როდესაც გრძნობთ, რომ აგრესიის დონემ კრიტიკულ დონეს მიაღწია, გადაჰკარით ასი გრამი, შეღებეთ ღობე აგარაკზე, გადაათვალიერეთ თაროები ძველი ნივთებით.

### მივმართოთ დახმარებისთვის

ჩვენში არაა მიღებული, მივმართოთ ფსიქოლოგს. და ეს არ არის სწორი. ეს ისევე ნორმალურია, როგორც მიხვიდე სტომატოლოგთან ან თერაპევტთან. სპეციალისტი დაგვეხმარება განვსაზღვროთ რისხვის მიზეზი — ინდივიდუალური თუ ჯგუფური საქმიანობის დროს. სხვათა შორის, ვარჯიშები ჯგუფში, ამ შემთხვევაში, მეტად ეფექტიანია.

რედაქცია | გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში"
299-62-77; 599 32-85-76.

## ანეკდოტები

— **თუ** შეიძლება მირჩიეთ, რომელი ღვინო შევუკვეთოთ? — ეკითხება ტიპი ოფიციანტს.
— ქალთან ერთად ბრძანდებით?
— დიახ.
— იმასთან ერთად ხომ არა, ტუალეტში რომ წავიდა?
— დიახ.
— მაშინ სჯობს, არაყი აიღოთ.

* * *

— **ღმერთო** ჩემო, როგორ გავხართ ჩემს მესამე ქმარს! — ეუბნება ქალი შემხვედრ მამაკაცს.
— სულ რამდენი ქმარი გყავდათ?
— ორი.

* * *



— **დაიხსომე**, შვილო, თუ კარგი კაცობა გინდა, მუდამ პუნქტუალური და ფრთხილი უნდა იყო! — ეუბნება მამა პატარა მიხოს.
— რას ნიშნავს „პუნქტუალური"?
— იმას, რომ დანაპირებს მუდამ უნდა ასრულებდე!
— „ფრთხილი?"
— იმას, რომ არავის არასდროს არაფერს არ დაჰპირდე!

* * *

**ტურისტულ** ფირმაში ტელეფონი რეკავს:
— გამარჯობათ, დასვენება მინდა!
— ფული რამდენი გაქვთ?
— ორასი ლარი!
— დაისვენეთ!

* * *

— **ბატონო** სახალხო მსაჯულო! — ამბობს ადვოკატი სასამართლოში, — თვით ის ფაქტი, რომ ბრალდებულმა მე ამირჩია თავისი ინტერესების დამცველად, განა ყველაზე უკეთ არ მიანიშნებს, რომ იგი შეურაცხადია?

## ჩვენი პრესდაიჯესტი

# გუშინდელი გაზეთებიდან



### რა კავშირი აქვს სააკაშვილს ჩახალიანთან...

ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე ინტერვიუში ამბობს: „ჩახალიანი „ნაცმოძრაობის მხარდამჭერი იყო — „ვარდების რევოლუციის" დროს გამგეობაში შეიჭრა და გამგებელი გამოაგდო. დიახ, ჩახალიანი სააკაშვილის მზეს ფიცულობდა, მის მიერ დაარსებული ახალგაზრდული ორგანიზაცია „ჯემი" კი, „ნაცმოძრაობის" პოლიტიკის აქტიური გამტარებელი გახლდათ. მერე ჩახალიანმა მეტი მონდომა და ქართული უნივერსიტეტის დარბევაში მიიღო მონაწილეობა. ნიშანდობლივია, რომ ის სომეხმა სამართალდამცავებმა დააკავეს და ქართველებს გადასცეს. ჩახალიანი ხულიგნობისთვის გაასამართლეს. თუ სეპარატისტი და პოლიტიკური ფიგურა იყო, მაშინ ამ მუხლით გაასამართლებდნენ.

**„ქართული სიტყვა"**

### კეზერაშვილის ბიზნესს „ქართული ოცნება" მფარველობს"

— **აცხადებს** „თავისუფალი საქართველოს" ლიდერი კახა კუკავა, — დღეს „ქართული ოცნებისა" და ნაციონალური მოძრაობის შეზრდის პროცესი მიმდინარეობს. განსაკუთრებით უფრო სწრაფად მიმდინარეობს ეს პროცესში ბიზნესში, სადაც დღეს კეზერაშვილის ბიზნესი „ქართული ოცნების" მფარველობით ყვავის ისევ ყველგან, სადაც ის საქმიანობდა და ისევ პიქსელიდან იმართება მთელი ქართული ეკონომიკა. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ ნელ-ნელა ეს პოლიტიკურ სიამტკბილობაშიც აისახება.

**„ახალი თაობა"**

### არაბები იმერეთში სამოსახლოებს ყიდულობენ

**საქართველოს** სასოფლო-სამეურნეო მიწებზე უცხოელი მოქალაქეების ინტერესი იმდენად დიდია, ქართულ ტერიტორიაზე უკვე არაბული სოფლის მშენებლობაზეც ფიქრობენ. ამ მიზნით ეგვიპტელები მინიმუმ 50 ჰექტარ მიწის ფართობს კახეთის ტერიტორიაზე ახალი არაბული სოფლის ასაშენებლად დაეძებენ. ამის შესახებ „საქართველოს სამოქალაქო მოძრაობიდან იუწყებიან. ორგანიზაციის კოორდინატორის შალვა გივიშვილის განცხადებით, სახელმწიფო ამ პრობლემის მიმართ ინტერესს არ იჩენს, რაც საფრთხეს მასშტაბურს ხდის. მაგალითად, არაბები იმერეთში სამოსახლოებს ყიდულობენ.

**„რეზონანსი "**

### „გვიშველეთ რამე, ციხის უფროსი ცირეკიძე და რეჟიმის უფროსი პატიმრებს გვაწამებენ!"

**ქუთაისის** №2 სასჯელაღსრულების დაწესებულება, სახალხო დამცველისა და საზოგადოების ყურადღების ცენტრში ხშირად ექცევა, რადგან ირკვევა, რომ ხელისუფლების ცვლილების მიუხედავად, აქ მაინც ფიქსირდება პატიმრების წამების ფაქტები. „ჟურნალისტები ხართ? გვიშველეთ რამე, ციხის უფროსი ცირეკიძე და რეჟიმის უფროსი პატიმრებს გვაწამებენ. წამლები არ გვაქვს, საკვები უვარგისია, არაადამიანურ პირობებში ვართ, გააგებინეთ ყველას, რა მდგომარეობაშიც ვართ", — მოგვაძახეს პატიმრებმა, როდესაც გაიგეს ჩვენი იქ ყოფნის შესახებ.

**„ვერსია"**

## კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში"
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com